P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

მეგა კრედიტი

Mega Credit

ქუთაისი, რუსთაველის 141 („პოპულში“); (0 431) 27 52 45

ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

„ჯანდაცვაში მაღლიერება მცირე დოზითაა...“

მინისტრი დავით სერგეენკო ჟურნალისტებთან პრობლემებზე საუბრობს

იხილეთ მე-3 გვერდზე

№ 15 (665) 13 - 19 მაისი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | www.psnews.ge

აცდება თუ არა ქუთაისი პარტიული ნიშნით დანიშნულ კიდევ ერთ მერს?

ქუთაისი ახალი მერის მოლოდინშია. პირველად ქალაქის თავს კონკურსის წესით შეარჩევენ. გამარჯვებულს საკრებულოში ახლადშექმნილი მუდმივმოქმედი კომისია დაასახელებს. ქალაქის ახალი მერის ვინაობა თვის ბოლოს გახდება ცნობილი.

საატესტაციო-საკონკურსო კომისიაში კანდიდატურების განხილვა 15 მაისიდან დაიწყება. სწორედ ამ დროს იწურება განაცხადების შეტანის ვადა. მომდევნო ეტაპი კი დოკუმენტაციის განხილვასა და შერჩეულ კანდიდატებთან ინდივიდუალურ გასაუბრებას დაეთმობა.

მერობის მსურველი ბევრია, განურჩევლად ასაკისა, სქესისა და საცხოვრებელი ადგილისა. მერის სავარძლის დაკავების სურვილს საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან გამოთქვამენ. მერობა სურთ ქალბატონებს და ახალკურსდამთავრებულებს. განსაკუთრებით აქტიურობენ თბილისში მცხოვრები მოქალაქეები. 10 მაისის 18 საათის მდგომარეობით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში 50 განაცხადია შესული.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ქუთაისის მერიის „ზონდერებად“ მონათლული თანამშრომლები და ჯერ აურჩეველი მერის პოლიტიკური გეგმები

იხილეთ მე-2 გვერდზე

400-მდე მუშა სამუშაოზე აღდგენას ითხოვს

იხილეთ მე-5 გვერდზე

იმერეთის გუბერნატორი სანდო ვიცე-გუბერნატორს ეძებს

იხილეთ მე-4 გვერდზე

ვისია ჭიათურის მანგანუმის წარმოება, ზესტაფონის „ფერო“ და „ვარციხჰესი“?

იხილეთ მე-5 გვერდზე

რატომ მფარველობენ სატრანსპორტო კომპანიებს ქუთაისის ტრანსპორტის სამსახურში?

იხილეთ მე-5 გვერდზე

ბენდუქიძის ორაგულები

როგორ „ებრძოდა“ ყოფილი ხელისუფლება გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს

თაგვები, რომლებიც ორი წლის მანძილზე გენმოდიფიცირებული სიმინდის მარცვლით იკვებებოდნენ, დასნეულდნენ სიმსივნით და დაუზიანდათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვადასხვა ორგანო. ეს შედეგი ცხადყო სამეცნიერო კვლევამ, რომლის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა ჟურნალში „საკვები და ქიმიური ტოქსიკოლოგია“ (2012 წლის 19 სექტემბერი).

ექსპერიმენტი მეცნიერებმა გამოყენებული კვლევის მეთოდების გამო გააკრიტიკეს, თუმცა, ამ ფაქტს გავლენა არ მოუხდენია მეცნიერების მეორე ნაწილზე, რომელთა მოსაზრებით, გენმოდიფიცირებული საკვები კვლავ რჩება საფრთხედ ადამიანის ორგანიზმისთვის. მეცნიერებს შორის ამ საკითხთან დაკავშირებითძგანსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მიუხედავად ამგვარი ორაზროვანი დამოკიდებულებისა, რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ აკრძალა გენმოდიფიცირებული საკვებისა და სასოფლო-სამეურნეო თესლის შეტანა თავიანთ ბაზარზე.

კარტახენას ოქმი ბიოუსაფრთხოების შესახებ არის საფუძველი ყველა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზისა, რომელიც დაკავშირებულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელებასთან. ოქმი 2000 წელს ქალაქ მონრეალში იქნა მიღებული და წარმოადგენს კონვენციას ბიოუსაფრთხოების შესახებ. ოქმის მიზანია, უზრუნველყოს იმ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების უსაფრთხო გადაცემა, მოპყრობა და გამოყენება, რომლებიც მიღებულია თანამედროვე ბიოტექნიკის მეთოდების გამოყენებით და შეუძლიათ, მავნე ზეგავლენა მოახდინონ ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებაზე.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საავტო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

9 მაისი, სტალინი

იხილეთ მე-6 გვერდზე

ყანწიანი ქართველების ქვეყანა

იხილეთ მე-6 გვერდზე

ჰოროსკოპი — 7.

სკანვორდი — 7.

PS news.ge

ISSN 1987-7056

აცდება თუ არა ქუთაისი პარტიული ნიშნით დანიშნულ კიდევ ერთ მერს?

პირველი გვერდიდან

კომისიის წევრების თქმით, ასეთი მაღალი აქტივობა მათთვის მოულოდნელია.

ქალაქის მერის არჩევის საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც გადაბირებულმა „ნაციონალებმა" 12 აპრილს თავისივე თანაგუნდელი, ბესიკ ბრეგაძე იმპიჩმენტის წესით გადააყენეს. ყოფილი „ნაციონალები" მაშინ აცხადებდნენ, რომ პარტიული ნიშნით თანამდებობებზე დანიშვნის დრო დასრულდა. კიდევ ერთი „მოკლევადიანი" მერის გადაყენებიდან ერთ თვეში კი მერის არჩევის გამჭვირვალობის საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

კომისიაში დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობა ეჭვს იწვევს თავად მისი შემადგენლობის გამო, რადგან საკრებულოში შექმნილი საატესტაციო-საკონკურსო კომისია მხოლოდ მმართველი გუნდისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, შიგ არ მოხვდა საკრებულოს ოპოზიცია. აქედან გამომდინარე, კომისიის მუშაობას სრულ უნდობლობას უცხადებს „ნაციონალური მოძრაობა" და ამბობს, რომ მერობის მსურველთა კონკურსი მხოლოდ ფარსია. რეალურად კი იგი ვიწრო პარტიულ მიზნებს ემსახურება.

„კომისია, სადაც „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები არ იღებენ მონაწილეობას, ვერ იქნება ობიექტური. აქ არ არიან არც ავტორიტეტული არასამთავრობოები. ყველაფერი მხოლოდ ერთ ვიწრო პარტიულ მიზანს ემსახურება," — აცხადებს იმერეთის გუბერნატორი **ვახტანგ ბალავაძე**.

გუბერნატორის მოსაზრებას იზიარებენ საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი წარმომადგენლებიც.

„საერთოდ უნდობლობას ვუცხადებთ მთელ ამ პროცესს. ეჭვი არ მეპარება, რომ კომისია იქნება არაობიექტური. თუ „ნაციონალური მოძრაობა" პოზიციას შეიცვლის, პირობას გაძლევთ, ბოდიშს მოვიხდით," — აცხადებს საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე **გია უკლება.**

ოპოზიციის მონაწილეობის გარეშე კომისიის მუშაობის გამჭვირვალობა კითხვებს არ იწვევს თავად კომისიის წევრებში. საკრებულოს წევრი და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მამუკა მღვდელაძე ამბობს, რომ კომისიის შემადგენლობაში მოხვედრა ოპოზიციისთვის არავის აუკრძალავს. მათ თავად არ ისურვეს კომისიაში ყოფნა.

„თუ იყო შემთხვევა, რომ მიმართეს კომისიას და მარგველაშვილმა უარი უთხრა, გამოვიდნენ და თქვან. მაგრამ ასეთი ფაქტი არ ყოფილა. მათ საერთოდ არ აქვთ მორალური უფლება, გამოთქვან პრეტენზია ნებისმიერი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით. წლები ვითხოვდი მიწის კომისიაში შეყვანას და ყოველთვის დაუსაბუთებელ უარს ვიღებდი მათგან. ახლა შეგნებულად მოიხსნეს პასუხისმგებლობა და გვაკრიტიკებენ," — ამბობს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა მღვდელაძე**.

იმავეს ადასტურებს საკრებულოსა და კომისიის თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი. მისი თქმით, კომისიაში მოხვედრა განცხადების საფუძველზე იყო შესაძლებელი. „ნაციონალებს" კი ამ საშუალებისთვის არ მიუმართავთ და არც პირად საუბრებში გამოუთქვამთ სურვილი, ჩართულიყვნენ ქალაქის მერის არჩევაში.

„ვადასტურებ, რომ მათი განცხადება არ შემოსულა. მე ვერ ვხვდები, რატომ აყენებთ ეჭქვეშ იმ არასამთავრობოების სანდოობას, რომლებიც კომისიის შემადგენლობაში შედიან?! არ არიან ისინი გამჭვირვალობის გარანტი? — კითხულობს **თამაზ მარგველაშვილი.**

კომისიის ერთ-ერთი წევრის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ალიანსი გამჭვირვალე თვითმმართველობისთვის" წარმომადგენელი ზურაბ ხურციძე კომისიის მუშაობაში არადემოკრატიულ ნიშნებს ვერ ხედავს და ამბობს, რომ იგი ოპტიმალურადაა დაკომპლექტებული.

„კომისიის შემადგენლობა აბსოლუტურად მისაღებია. მე ვიძლევი პირობას, რომ თუ არ იქნება ქმედითი, მე დავტოვებ მას," — ამბობს ამ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი **ზურაბ ხურციძე.**

კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, კერძო საუბრებში, განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ სხვა წევრები. მათი თქმით, კომისიის წევრთა შერჩევა თამაზ მარგველაშვილის პირადი პრეროგატივა იყო. ზოგ შემთხვევაში მოქმედებდა პირადი ნაცნობობის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციებიც. ამას ემატება კომისიის წევრთა საჯარო განცხადებები იმის შესახებ, რომ კომისიის წევრები ერთმანეთს ახლოს არ იცნობენ.

აქედან გამომდინარე, შეკითხვები ჩნდება არამხოლოდ კომისიის დაკომპლექტებასთან, არამედ მისი მუშაობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, მითუმეტეს მაშინ, როცა საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე უკვე გაჟღერდა არაერთი ფავორიტი კანდიდატის ვინაობა. მერობის კანდიდატები თავიანთი სამოქმედო პროგრამების საჯაროდ განხილვასაც არ ერიდებიან.

უკვე წინასწარაა ცნობილი, რომ მომავალი მერის პოსტზე ერთ-ერთ ფავორიტად ქალაქის ყოფილი მერი ბაკურ ბალანჩივაძე განიხილება. ფავორიტების სიაში შედიან ასევე „ქართული ოცნების" პარტიული წევრები: თემურ ნადირაძე, ნუგზარ უგულავა და გურამ ტოროშელიძე. მერობის სურვილს გამოთქვამს სამი ცნობილი ქუთაისელი ტყუპი ძმიდან ერთ-ერთი — ბიზნესმენი ავთანდილ კაჭახიძე. კაჭახიძეს მიაჩნია, რომ ქალაქის განვითარებისთვის უმთავრესია ბიზნესის ხელშეწყობა.

„ბიზნესს სჭირდება განვითარება. გარდა ამისა, ვთვლი, რომ ქალაქის მერი უნდა იყოს არა პოლიტიკოსი, არამედ — კარგი მეურნე," — ამბობს მერობის კანდიდატი **ავთანდილ კაჭახიძე.**

ქუთაისში მეურნეობის განვითარება უპირველეს პრიორიტეტად მიაჩნია ქუთაისის მერობის ერთ-ერთ კანდიდატს ხატია მედვედევას.

„განათლება და მეურნეობის განვითარება — ეს არის უპირველესი, რასაც ქალაქმა უნდა მიაღწიოს," — ასე თვლის **ხატია მედვედევა.**

ქალაქის სათავეში მოსვლის შემთხვევაში ქუთაისისთვის სამრეწველო ფუნქციის დაბრუნებას აპირებს მწერალი და ჟურნალისტი ლია გვენეტაძე.

„ქუთაისი უნდა იქცეს სამრეწველო ქალაქად. ასევე მნიშვნელოვანია მისთვის საუნივერსიტეტო-სამეცნიერო ქალაქის სტატუსის აღდგენა," — მიაჩნია მერობის ერთ-ერთ კანდიდატს **ლია გვენეტაძეს.**

მიუახლოვდებიან თუ არა მერის საგარეჯოს ე.წ. ფავორიტი კანდიდატები, ეს უახლოეს დღეებში, კონკურსის მეორე ეტაპზე გახდება ცნობილი. საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულებიდან რამდენიმე დღეში „მეორე ტურის" კანდიდატები დასახელდებიან, რომლებიც კომისიაში ინდივიდუალურ გასაუბრებას გაივლიან. კომისიის წევრთა თქმით, გასაუბრებისთვის 10-დან 15-მდე კანდიდატი შეირჩევა, რასაც კონკურსის გამარჯვებულის დასახელება მოჰყვება. გამარჯვებული კანდიდატი საკრებულოს დასამტკიცებლად ორ კვირაში წარედგინება.

უკვე ცნობილია ჯერ არარჩეული მერის პირველი სამუშაო დღის განრიგიც. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კულუარებში ამბობენ, მერიაში რამდენიმე დღის წინ დაწყებულ სამსახურების გაერთიანების პროცესს, მერის დანიშვნის შემდეგ, სამსახურის უფროსებისა და თანამშრომლების მასობრივი გათავისუფლება მოჰყვება. კულუარული ინფორმაციით, ახალი მერი მერიის თანამშრომლების 15 პროცენტს „შეიწირავს".

მარი პატარაია

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

რედაქტორი:
ნანული ცხვედიანი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი:
ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება,
არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

ქუთაისის მერიის „ზონდერებად" მონათლული თანამშრომლები და ჯერ აურჩეველი მერის პოლიტიკური გეგმები

ახალი მერის არჩევის პარალელურად, ქუთაისის მერიაში მასობრივი ოპტიმიზაციის პროცესი დაიწყება. საკრებულოს 10 მაისის სხდომაზე რეორგანიზაციის ზოგიერთი დეტალი გახდა ცნობილი. კერძოდ, საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლები უკვე ღიად აცხადებენ, რომ უახლოეს დღეებში (რაშიც, სავარაუდოდ, მერის არჩევის შემდგომი პერიოდი იგულისხმება) მერიაში სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები დაიწყება. მოსალოდნელია თანამშრომელთა 15 პროცენტის სამსახურებიდან გათავისუფლება.

„თანამშრომელთა ნაწილის გათავისუფლება გარდაუვალია. მმართველ გუნდში არიან ის ადამიანები, რომლებმაც ზუსტად იციან, რომელ სამსახურში რამდენი ადამიანია საჭირო. ასევე მიგვაჩნია, რომ აუცილებელია რამდენიმე სამსახურის გაერთიანება, ზოგისაც — გაყოფა," — ამბობს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მერაბ მეშველიანი**.

„შემცირებები იქნება, მაგრამ პირობას გაძლევთ, უმუშევარი არავინ დარჩება," — განაცხადა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **ნიკო კაჭკაჭიშვილმა**.

მერიის თანამშრომლებისთვის გაცილებით მძიმე პროგნოზებს აკეთებს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე მამუკა მღვდელაძე. მღვდელაძე ქუთაისის მერიის თანამშრომელთა ნაწილს „ზონდერებს" უწოდებს და ამბობს, რომ ყველა, ვინც „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა, თანამდებობას დატოვებს.

„პენსიასავით იღებდნენ ეს ადამიანები ხელფასს და რისთვის? — ზონდერსაქმიანობისთვის. „ნაციონალური მოძრაობა" წლები ინახავდა მათ და კონკრეტულ პარტიულ დავალებებს ასრულებინებდა. ყველა ეს ზონდერი გათავისუფლებული იქნება სამსახურიდან. აქ ბევრი პროფესიონალი კადრია, რომლებიც იმსახურებენ თანამდებობებზე ყოფნას," — ამბობს **მამუკა მღდელაძე**.

განცხადების პარალელურად, მღვდელაძე ირწმუნება, რომ თანამშრომელთა დოკუმენტაციების განხილვისას, თანამდებობების შესანარჩუნებლად მთავარი კრიტერიუმი პროფესიონალიზმი იქნება.

როგორც ცნობილია, მერიაში ოპტიმიზაციის პროცესს ქუთაისის საკრებულოში ახლახან შექმნილი საატესტაციო-საკონკურსო კომისია წარმართავს. მუდმივმოქმედი კომისია მომავალშიც იმუშავებს მერიის სამსახურებისა და მათი თანამშრომლების მონაცემების გადასინჯვა-განახლებაზე.

საკონკურსო კომისიას არ ენდობა საკრებულოს ოპოზიციური ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე გია უკლება და მიიჩნევს, რომ მმართველი გუნდი მერიის სამსახურებიდან თანამშრომლების გათავისუფლებას პოლიტიკური ნიშნით გეგმავს.

„ადამიანების შემცირებას აპირებენ იმის მიხედვით, ვინ იყო 19 აპრილის აქციაზე და ვინ — არა. პოლიტიკა და საჯარო სამსახურში პროფესიული მოღვაწეობა სხვადასხვა რამეა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს სიმართლე აღმოჩნდეს. „ნაციონალური მოძრაობა" სრულ უნდობლობას უცხადებს კომისიის მუშაობას და არ აღიარებს არც მათი მუშაობის შედეგებს," — აცხადებს **გია უკლება.**

მერიის სამსახურის თანამშრომლების გათავისუფლების პარალელურად, ქალაქის მერიაში სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება. რეორგანიზაციის ზოგიერთი დეტალი გასულ კვირას, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსმა" პრესკონფერენციაზე უკვე გააჟღერა. კერძოდ, როგორც ამ დროისთვის არის ცნობილი, რეორგანიზაცია შეეხება ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურებს. ადგილობრივ თვითმმართველობაში ამ ორი სამსახურის გაერთიანებას გეგმავენ. აღსანიშნავია, რომ ზემოთაღნიშნული სამსახურები წინა ხელისუფლების მმართველობის პირობებში გაიყო და ქონების მართვის განყოფილება ცალკე სამსახურად ჩამოყალიბდა. რამდენიმე თვის წინ გაყოფილი სამსახურები კვლავ გაერთიანდება. ცვლილებები შეეხება ქუთაისის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურსაც, თუმცა, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობაში ამბობენ, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის თუ რომელი სამსახური გაერთიანდება ზემოთაღნიშნულ სამსახურთან ერთად.

მოსალოდნელი ცვლილებები უკვე განხილვის აქტუალური თემაა ადგილობრივი თვითმმართველობის კულისებში. მერიის თანამშრომლები გარდაუვალი შემცირების მოლოდინში არიან. როგორც კულუარებში ამბობენ, რეორგანიზაციის დეტალები დახურულ კარს მიღმა უკვე გაიარეს მერიის ჩინოვნიკებმა. აქედან გამომდინარე, თანამშრომელთა ნაწილი შიშობს, რომ „გასაცხრილავთა" სია უკვე შედგენილია.

მარი პატარაია

„ჯანდაცვაში მადლიერება მცირე დოზითაა..."

მინისტრი დავით სერგეენკო ჟურნალისტებთან პრობლემებზე საუბრობს

„ჯანდაცვაში მადლიერება მცირე დოზითაა. რაც არ უნდა გააკეთო, უკმაყოფილება მაინც დიდია," — აცხადებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და იმ საფრთხეებზე საუბრობს, რაც ამ სფეროში ნებისმიერი სიახლის დანერგვის დროსაა გასათვალისწინებელი. ასეთ ფრთხილ მიდგომას, მინისტრის თქმით, საჭიროებს ფეხმძიმობის ხელოვნურად შეწყვეტის ოპერაციები, მარიხუანას შესაძლო ლეგალიზაცია და სხვა ისეთი თემები, რომლებიც ექსპერტთა განხილვის თემებია. პროგრამის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის" — ფარგლებში ჟურნალისტებთან შეხვედრისას მინისტრმა სერგეენკომ განაცხადა, რომ ყველაზე წარმატებული ჯანდაცვის სფეროს ახალი მენეჯმენტისთვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაა.

დავით სერგეენკო

„ამ პროექტის დაწყებამდე გვქონდა რისკების უხეში შეფასება — დაბალი, საშუალო და მაღალი. თუ პროექტისწინა რისკების შეფასებებს ავიღებთ, პროექტი დაბალი რისკებით მიმდინარეობს. არის მცირე ხარვეზებიც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა წარმატებულია," — განაცხადა სერგეენკომ. მისივე განმარტებით, მთავარია უსაფრთხო გარემო და მაღალკვალიფიციური სერვისი, რაც მომხმარებელს მიეწოდება. თუკი, რომელიმე სადაზღვევო კომპანია ამ სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს, ბუნებრივია, ის ვეღარ გააგრძელებს მუშაობას.

რაც შეეხება მედიკამენტების სიძვირეს მინისტრი აღნიშნავს, რომ სამინისტრო მაქსიმალურად ეცდება, არ მოახდინოს ფასების იმპერატიულად დაწესება. მისივე თქმით, ფარმაცევტულ ბაზარზე, შესაძლოა, ახალი მოთამაშე გაჩნდეს. უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიასთან მოლაპარაკებები უახლოეს ორ თვეში დასრულდება.

მისივე თქმით, მოლაპარაკების პროცესში აღნიშნული კომპანიის განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენება და მისთვის სასათბურე პირობების შექმნა არ განიხილება.

დავით სერგეენკო აბორტების აკრძალვის თემასაც გამოეხმაურა: „ცვლილებები, რა თქმა უნდა, გასატარებელია. ვფიქრობ, რომ ეს უნდა გატარდეს კომპლექსურად. ზოგადი პასუხით რომ არ შემოვიფარგლო, ვაცხადებ, რომ ახლადშექმნილი დედათა და ბავშვთა საბჭოს ფარგლებში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ პროექტისა და სტრატეგიის გაწერით დაკავდება. საბოლოო დაგროვილი სტატისტიკა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, საკმარისია და ვფიქრობ, რომ ასეთი მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფი ამ ამოცანას ეფექტურად შეასრულებს," — განაცხადა სერგეენკომ.

ასეთივე კომპლექსურ მიდგომაზე საუბრობს მინისტრი ნარკოსტრატეგიასთან მიმართებაში.

„არსებული სტრატეგია საჭიროებს გადახედვას. სტრატეგიული გათვლა საჭიროა, რათა რიკოშეტის ეფექტი არ მივიღოთ. ნარკოტიკების ბაზარს უკიდურესი მოქნილობა ახასიათებს, მექანიკურ აკრძალვას მოჰყვება ხოლმე სხვა ნარკოტიკული მიმართულებების გაძლიერება," — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, ნარკოკანონმდებლობის ლიბერალიზაციის მიმართულებით, მუშაობა მიმდინარეობს, „თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ერთ დღეს გავიღვიძებთ და ნარკოტიკები სუპერმარკეტებში გაიყიდება".

მინისტრი მედიცინის მუშაკთა მცირე ხელფასებს, რეგიონებში პირველადი სამედიცინო დახმარების პრობლემებსა და სხვა საკითხებსაც შეეხო, რაც ბიუჯეტის მცირე დაფინანსების გამო პრობლემებს ქმნის. როგორც მინისტრი განმარტავს, სამინისტროს ბიუჯეტი პრიორიტეტების გათვალისწინებით დაიგეგმა და მასში, სამწუხაროდ, ჯერ არაა გათვალისწნებული ისეთი აუცილებელი ხარჯები, რაც მეორე ჯგუფის ინვალიდების, შეზღუდული შესაძლებლობების პირების თუ სხვათა დახმარებისა და პენსიების გაზრდას გულისხმობს იმაზე მეტად, რაც უკვე მიმდინარე წლის ბიუჯეტითაა განსაზღვრული.

მინისტრი აღნიშნავს, რომ სამინისტრო ცალკეული კომპანიების საქმიანობაში ვერ ერევა მედპერსონალისთვის ხელფასების გაზრდის მოთხოვნით. თუმცა, საკანონმდებლო დონეზე ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობს.

„ყველა მიმართულებით ვცდილობთ თანხების დაზოგვას. დაზოგილი თანხა, თუნდაც ეს მინიმალური იყოს, პირველ რიგში, წავა სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე. სამწუხაროდ, ჩემს ნებასურვილზე არაა დამოკიდებული, რა გავზარდო და როგორ. რაღაცას უნდა მოაკლო, რაღაცის შემცირების ხარჯზე. სასწრაფო სამედიცინო დახმარება სამინისტოს პირველადი ზრუნვის საგანი იყო და იქნება," — აღნიშნავს სერგეენკო.

ჟურნალისტებს მიეწოდა ინფორმაცია წითელასა და სხვა ინფექციური დაავადებების პრევენციის შესახებ.

სამინისტროს ინფორმაციით, 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ყველანარი აცრა უფასოა, მათ შორის მათთვისაც, ვისაც საქართველოს აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით გეგმით გათვალისწინებული რომელიმე აცრა თუ აქვს გამოტოვებული. უფასოა, ასევე, ვირუსული ინფექციის მქონე პირთან კონტაქტში მყოფი ყველა პირისა და მედპერსონალის ვაქცინაცია. დღეისათვის აცრილია 20 000 კონტაქტში მყოფი პირი. უფასო აცრები ხორციელდება ჯარშიც.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში წითელას 2 960 შემთხვევაა დაფიქსირებული, მათ შორის, 2 000 შემთხვევა — თბილისში, დანარჩენი კი საქართველოს 52 სხვადასხვა რეგიონში.

სამინისტროს ცნობით, მარტის თვის მონაცემებით, აცრაგამოტოვებული ბავშვების რაოდენობა საქართველოს მასშტაბით 36 000 იყო, კამპანიის ფარგლებში გაწეული აგიტაციის შედეგად კი ეს ციფრი 7 000-მდე შემცირდა.

საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიმართავს ყველა საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებას, გაავრცელონ ინფორმაცია, მოიძიონ აუცრელი ბავშვები და მოახდინონ უფასო ვაქცინაცია.

ნატო პერანიძე

ვისთვისაა საოცნებო ახალი შრომის კოდექსი — როზა ლუქსემბურგის თუ ქართველი ამომრჩევლისთვის?

შრომის კოდექსთან დაკავშირებით დისკუსიის ახალი ტალღა, „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" (GIPA) სტუდენტებთან შეხვედრაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა გამოიწვია. შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელმაც მარგველაშვილის კრიტიკა დაიმსახურა, საქართველოს პარლამენტმა 19 აპრილს პირველი მოსმენით მიიღო. სოციალურ ქსელ „იუთუბიზე" გავრცელდა ამ შეხვედრის ამსახველი ვიდეო, სადაც გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ „პარლამენტში როზა ლუქსემბურგის ოცნების შრომის კოდექსია შესული" და ეს ახალი კოდექსი ბიზნესის განვითარებას ხელს შეუშლის.

„პარლამენტში როზა ლუქსემბურგის ოცნების შრომის კოდექსია შესული. როზა ლუქსემბურგის ოცნებას თუ ვახდენდით არ ვიცოდი. შიგნით ისეთები წერია, საერთოდ, დამსაქმებელი ვეღარ გაჭაჭანდება საქართველოში, ვერც სახელმწიფო და ვერც ბიზნესი. ეს ძალიან პრობლემურია, მით უმეტეს, ქვეყანაში, სადაც ბიზნესი უნდა განვითარდეს, სადაც ხელისუფლებამ რეფორმები უნდა გაატაროს. ამ შრომის კოდექსის შეტანა იყო აბსოლუტურად არასწორი. ამ ფონზე ესენი პოლიციას ურტყამენ," — განაცხადა **გიორგი მარგველაშვილმა.**

ახალი შრომის კოდექსის შესახებ განათლების მინისტრის მიერ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების" თავმჯდომარე, ირაკლი პეტრიაშვილი გამოეხმაურა:

„თუ ამ განცხადების მიზანი ის იყო, რომ საზოგადოება შოკში ჰყოლოდა, ეს მიზანი მიღწეულია. მიღწეულია იმ კუთხითაც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, ვინც ეს კომენტარი მოისმინა, ისინიც შოკირებულები არიან. ეს განცხადებები ერთი-ერთში ჰგავს „ნაციონალური მოძრაობის" და ძველი ეკონომიკური გუნდის განცხადებებს, რომ კატასტროფა იქნება შრომის კოდექსში ცვლილებები. თუ მთავრობასაც მთლიანად ეს პოზიცია აქვს, სერიოზული წყალგამყოფი იქნება მთავრობასა და საზოგადოების იმ დიდ ნაწილს შორის, რომელიც ოცნებობდა და ფიქრობდა, რომ მონობა საქართველოში უნდა დამთავრებულიყო," — ამბობს **ირაკლი პეტრიაშვილი.**

„ვწუხვარ, რომ ჩემი კერძო საუბარი გახდა მედიის განსახილველი, იმიტომ, რომ ეს არ იყო მედიისთვის გაკეთებული განცხადება, ან, საერთოდ, განცხადება. ეს იყო დისკუსია სრულიად სხვა თემაზე. იმაზეც ვწუხვარ, რომ საქართველოში მშრომელთა უფლებებს იცავს ისეთი ხალხი, რომელსაც როზა ლუქსემბურგი სალანძღავი სიტყვა ჰგონია. როზა ლუქსემბურგი გმირულად მოკვდა სწორედ მშრომელთა უფლებების დაცვის დროს და სალანძღავად არ მითქვამს ეს," — განაცხადა მოგვიანებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა GIPA-ს სტუდენტებთან გაკეთებული ამ განცხადების კომენტირებისას.

„მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეს არის როზა ლუქსემბურგის საოცნებო შრომის კოდექსი, არასწორია..."

„მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეს არის როზა ლუქსემბურგის საოცნებო შრომის კოდექსი, არასწორია. სინამდვილეში, ეს არის „ქართული ოცნების" ამომრჩეველთა საოცნებო შრომის კოდექსი; ეს არის კოდექსი, რომელიც სრულად შეესაბამება იმ დაპირებებს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" წინაასაარჩევნოდ ამომრჩეველს მისცა; ეს არის კოდექსი, რომელიც აბალანსებს უფლებებს და მოვალეობებს დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის; გარდა ამისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს კოდექსი არის სრულ შესაბამისობაში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან," — განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე ბარამიძემ.**

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კი მზად არის, შრომის კოდექსში ცვლილებების მორიგ ტალღას ჩაუდგეს სათავეში. ტელეკომპანია „იმედის" ეთერში მან განაცხადა:

„არ ვიცი, ვარ თუ არა როზა ლუქსემბურგი, მაგრამ ვგეგმავ, როგორც ქალი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქალი ახალი მთავრობის, სათავეში ჩავუდგე შრომის კოდექსში ცვლილებების მორიგ ტალღას, რომელსაც შრომით ურთიერთობებში ქალთა უფლებების დაცვა ჰქვია."

მიუხედავად იუსტიციის მინისტრის ამ პოზიციისა, პრემიერ-მინისტრმა გიორგი მარგველაშვილის პოზიცია გაიზიარა. ბიძინა ივანიშვილის თქმით, დაქირავებულს ნებისმიერი უფლებები შეიძლება მივცეთ, მაგრამ რეალობა არ უნდა დავკარგოთ.

„ის, რაც წინა ხელისუფლების პირობებში არსებობდა, საშინელება იყო, დაქირავებულს, პრაქტიკულად, არავითარი უფლება არ გააჩნდა. როცა რამე არ გვაქვს, მეორე მხარეს ვიცით ხოლმე გადახრა... დაქირავებულს ნებისმიერი უფლებები შეიძლება, მივცეთ, მაგრამ რეალობა არ უნდა დავკარგოთ. როდესაც კამათობენ, ევროპულია, თუ მთლად ევროპული არაა და როგორი შრომის კოდექსი უნდა მივიღოთ და კანონპროექტის გარკვეულ ნაწილზე მიდის კამათი, რომ 50-50-ზეა, ვის მხარეს უნდა გადაიხაროს ეს — დაქირავებულის თუ დამქირავებლის, — ჩემი პოზიციაა, რომ დამქირავებლის მხარეს," — განაცხადა **ბიძინა ივანიშვილმა.**

როგორი უნდა იყოს შრომის კოდექსი?!

„შრომის კოდექსის ახალ რედაქციაში გარკვეული გადახრებია. სწორია დაბალანსებული შრომის კოდექსის მიღება, რომელშიც ორივე მხარის ინტერესი მეტ-ნაკლებად იქნება ასახული, თუმცა ამ პირველად რედაქციაში, შესაძლოა, გადახრა მოხდა მეორე უკიდურესობაში, როდესაც ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლება ძალიან რთული ხდება," — განაცხადა „პრაიმ ტაიმის" პრესკლუბში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **დავით ზურაბიშვილმა**. მისი თქმით, ევროკავშირის ქვეყნებში თითქმის შეუძლებელია ადამიანის მოხსნა, განსაკუთრებით — საჯარო სამსახურში.

„მე პირადად შევსწრებივარ ასეთ ფაქტს ავსტრიასა და გერმანიაში. ასეც არ უნდა იყოს, რომ შეუძლებელი იყოს ადამიანის მოხსნა, მაგრამ არც ისე უნდა იყოს, რომ როცა გინდა სამსახურიდან გაშვება, შეგეძლოს. აქ არის გასასვლელი ბეწვის ხიდზე, სწორედ მასზე გასვლას ცდილობს ახლა ხელისუფლება," — განაცხადა **ზურაბიშვილმა.**

იუსტიციის მინისტრის აზრით, შრომის კოდექსით არ შეიძლება რომელიმე მხარე კმაყოფილი და ბედნიერი იყოს. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადაცემაში „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" განაცხადა. მინისტრის თქმით, თუ რომელიმე მხარე კმაყოფილია, ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის კოდექსი ცუდია.

„ახალი შრომის კოდექსით, რა თქმა უნდა, იზღუდება დამსაქმებლის ინტერესი, რომელსაც დასაქმებული მიყენებული ჰყავს კედელთან და ერთი ნაბიჯით უკან დახევა მოუწევს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიზნესი ვიწროვდება. შრომის კოდექსის ცვლილება, რომელიც შესულია პარლამენტში, არა მხოლოდ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ დაბალანსებული შრომითი ურთიერთობა ჩამოაყალიბოს, არამედ იმიტომაც, რომ ამან საფუძველი ჩაუყარა ბიზნესწრეებსა და ექსპერტებთან კონსულტაციებს. შრომის კოდექსით არ შეიძლება რომელიმე მხარე კმაყოფილი და ბედნიერი იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის კოდექსი ცუდია," — განაცხადა **თეა წულუკიანმა**. მისივე თქმით, შრომის კოდექსი ეამაყება, რადგან მის შესახებ ყველა ადამიანს განსხვავებული აზრი ჰქონდა. ამასთან, მინისტრი მიიჩნევს, რომ საჯარო სამსახურიდან უფრო მარტივად უნდა შეიძლებოდეს დასაქმებულთა გათავისუფლება, ვიდრე კერძო სექტორიდან.

„დასრულდა „ნაციონალური მოძრაობის" დროს დამკვიდრებული კულტურა, არასასურველ პირებს დაეწერათ განცხადება და წასულიყვნენ. ახალ კოდექსში მკაფიოდ არის გაწერილი, რის საფუძველზეც შეგიძლია, ადამიანი გაათავისუფლო. ეს არ არის დამსაქმებლისა და დასაქმებულის სამუდამო იძულებითი ქორწინება. თუ ადამიანი არ ვარგა, მან უნდა დატოვოს სამსახური, თუმცა, ამასაც აქვს თავისი წესები და ფორმები," — აღნიშნა წულუკიანმა.

„ბიზნესმენი ფადი ასლი ამბობდა, რომ ლიბერალური უნდა იყოს შრომის კოდექსი, მე უნდა შემეძლოს ადვილად დავშორდე დასაქმებულ ადამიანებს, ცოლთან დაშორება თუ შეიძლება, რატომ ვერ უნდა დავშორდე დასაქმებულ ადამიანსო... თუ ვინმემ იცის ამ კაცის ისტორია, ისიც ეცოდინება, როგორ შორდება ცოლს. ჯერ ერთი, დასაქმებული ადამიანის გაიგივება ცოლთან, არ ვიცი, რამდენად ლოგიკურია. ეს მის კულტურას და ზრდილობას მივანდოთ, მაგრამ ის როგორ შორდება ცოლს, უკვე ნახა მთელმა საქართველომ და ნამდვილად არ მინდა, ასე შორდებოდეს დასაქმებულ ადამიანს დამსაქმებელი საქართველოში," — განაცხადა პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ **ირაკლი პეტრიაშვილმა** ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, საქართველოს შრომის კოდექსთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე.

ამასთან, ირაკლი პეტრიაშვილი მიიჩნევს, რომ თუ ბიზნესი არ განიხილავს დასაქმებულ ადამიანს, როგორც ბიზნესის ნაწილს და, უბრალოდ, ჰგონია, რომ ეს არის რობოტი ადამიანის ტიპი — რასაც შეუკვეთავს იმ დეტალს გააკეთებს და არც ხელფასს მოითხოვს, არც სამსახურის უსაფრთხოებას დაიცავს და ასე შემდეგ, ეს ძალიან ცუდია.

ახალი შრომის კოდექსი დამსაქმებელს ცუდ მდგომარეობაში აყენებს?!

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური გამოცემა „ლიბერალთან" ინტერვიუში ამბობს, რომ არის რამდენიმე მომენტი წარმოდგენილ ვარიანტში, რომელიც დამსაქმებელს ცუდ მდგომარეობაში აყენებს.

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

იმერეთის გუბერნატორი სანდო ვიცე-გუბერნატორს ეძებს

ვახტანგ ბალავაძე

იმერეთის ვიცე-გუბერნატორის პოსტი ამ დრომდე თავისუფალია და სამხარეო ადმინისტრაციაში „გაპატრიოტებულ“ გოჩა თევდორაძეს შემცვლელი ჯერაც ვერ მოუძებნეს. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, გუბერნატორ ვახტანგ ბალავაძეს ვიცე-გუბერნატორის თანამდებობაზე სანდო და ერთგული კადრი სჭირდება.

საუბრობენ იმაზეც, რომ ვახტანგ ბალავაძეს უკვე ჰყავს სასურველი კანდიდატი — მერადყოფილი ბესიკ ბრეგაძის სახით.

მაგრამ ყოფილი მერი შეთავაზებულ თანამდებობაზე მუშაობას არ აპირებს და, საერთოდაც, აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის თავის დანებებას გეგმავს.

„ვიცი, რომ ვიცე-გუბერნატორის თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურაც განიხილება, თუმცა ოფიციალური წინადადებით არავის მოუმართავს. არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ოფიციალურად მომართვის შემთხვევაშიც უარს ვიტყვი. საქმე და პოლიტიკა ისეთი რაღაცაა, რომ ერთად ვერც ერთი კეთდება ხარისხიანად, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მზად ვარ, ვემსახურო ჩემს ქალაქს,“ — განაცხადა ქუთაისის ყოფილმა მერმა ბესიკ ბრეგაძემ.

ვიცე-გუბერნატორის პოსტზე ასევე აქტიურად განიხილება ვიცე-მერის ამირან ძოწენიძის კანდიდატურა. მაგრამ ძოწენიძე გავრცელებულ ინფორმაციას ამ დრომდე არ ადასტურებს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ქუთაისმა დამატებით ორი მილიონი ლარი მიიღო

ცენტრალური ბიუჯეტიდან ქუთაისისთვის დამატებით 2 მილიონ 220 ათასი ლარი გამოიყო. ქალაქის ბიუჯეტში შესული ცვლილებები საკრებულომ 10 მაისს დაამტკიცა. ცვლილებების თანახმად, თანხის დიდი ნაწილი — მილიონ 620 ათასი ლარი ქუთაისში ექვს ქუჩაზე გზის კაპიტალურ შეკეთებას მოხმარდება. დანარჩენი 6 ათასი ლარი კი ხარაზოვის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული „ნიღბების თეატრის“ შენობის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯება.

„ორ მილიონ ლარზე მეტი მოგვცა ხელისუფლებამ. პროექტები უკვე შედგენილია და სამუშაოები მალე დაიწყება,“ — აცხადებს ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ტარიელ მაკარიძე.

მარი პატარაია
psnews.ge

ბენდუქიძის ორაგულები

როგორ „ებრძოდა“ ყოფილი ხელისუფლება გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს

პირველი გვერდიდან



რატომ გაუქმდა ხარისხის კონტროლის სამსახური?

ქართულმა პარლამენტმა კარტახენას ოქმის რატიფიცირება ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 2008 წლის 26 სექტემბერს შეძლო. მიუხედავად ამ ცვლილებისა, საქართველოს არ აქვს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც უშუალოდ მოაწესრიგებს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტსა და ქვეყანაში გავრცელების პროცესს. ამასთანავე, კანონში „საკვების უსაფრთხოებისა და ხარისხის შესახებ“ განხორციელებული ცვლილების თანახმად, ხარისხის კონტროლის სამსახურმა შეწყვიტა მუშაობა 2006 წელს. წინა ხელისუფლებამ ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზად სამსახურში დასაქმებულთა კორუმპირებულობა დაასახელა. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პროგრამის კოორდინატორის, გიორგი მაღრაძის თქმით, ზემოთ აღნიშნული საბაბი არ იყო საკმარისი მსგავსი სამსახურის გაუქმებისთვის. „ამ ლოგიკით თუ განვსჯით, მაშინ ყოფილ ხელისუფლებას პოლიციაც უნდა გაეუქმებინა, რადგან იქაც იყო კორუფცია. მაგრამ მათ შეცვალეს სისტემა და განავითარეს კიდეც. ამგვარი მიდგომა სასარგებლო იქნება ხარისხის კონტროლის სამსახურის შემთხვევაშიც, მაგრამ მათ გააუქმეს,“ — აღნიშნავს **გიორგი მაღრაძე**.

გიორგი გაჩეჩილაძე, მწვანეთა პარტიის ლიდერი და საქართველოს პარლამენტის წევრი ყოფილი ხელისუფლების ამგვარ პოლიტიკას უხარისხო პროდუქციის იმპორტიორთა ხელშეწყობისა და დაცვის სურვილით ხსნის. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა კარტახენას ოქმის ხელმომწერია, ეს ფაქტი არ არის საკმარისი. ოქმი მხოლოდ ქაღალდია და სხვა არაფერი. 2005 წელს რამდენიმე კანონი შეიცვალა: კანონი ვეტერინარული მედიცინისა და მცენარეთა დაცვის შესახებ, ასევე საქართველოს სანიტარული კოდექსი. შედეგად კი მივიღეთ ქაოტური და აბსოლუტურად უკონტროლო სისტემა,“ — აცხადებს გაჩეჩილაძე.

მსგავსი მოსაზრება აქვს გიორგი მაღრაძესაც, რომლის თქმით, ყოფილი ხელისუფლება მიკერძოებული იყო გენმოდიფიცირებული ორგანიზმების პრობლემის მიმართ. „**ბევრჯერ იყო შესაძლებელი მიეღოთ კანონი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს კანონპროექტი ამ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტს არ ექმნებოდა არანაირი დაბრკოლება, პარლამენტმა მაინც არ დაამტკიცა.** მე ვფიქრობ, რომ ამგვარი გადაწყვეტილებები პოლიტიკური ნების უქონლობის შედეგი იყო. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების წარმოებაში საკმაოდ მსხვილი მოთამაშეები არიან ჩართულნი, რომლებსაც თავიანთი პროდუქციის გავრცელება სურთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მათი მიზანია, აკონტროლონ სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება ყველა ქვეყანაში. ამის მისაღწევად კი გააკეთებენ ყველაფერს, კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლებასთან გარიგების ჩათვლით. **ჩვენთვის ცნობილია, რომ კახა ბენდუქიძე არის მფლობელი საკმაოდ მსხვილი წილისა კომპანიაში, რომელიც აწარმოებს გენმოდიფიცირებულ ორაგულს. ცხადია, რომ ბენდუქიძე ყოველთვის იყო და იქნება წინააღმდეგი ქვეყანაში ისეთი კანონის მიღებისა, რომელიც ხელს შეუშლის ამგვარი პროდუქტის თავისუფლად გავრცელებას,“** — აცხადებს გიორგი მაღრაძე.

კახა ბენდუქიძის თქმით კი, ის იყო წილის მფლობელი კომპანიაში „ლინეუს კაპიტალ“ (Linnaeus Capital), რომელიც ფლობდა 48.1%-ს „აქუაბაუნთ ტექნოლოგიებში“ (AquaBounty Technologies (ABT)). „მართალია, რომ მე ვფლობდი წილს ლინეუს კაპიტალში, თუმცა ახლა აღარაფერი მაკავშირებს ამ კომპანიასთან. თანაც, „აქუაბაუნთი“ არ აწარმოებს გენმოდიფიცირებულ ორაგულს და შეუძლებელია, ამ სახის პროდუქტი მოხვდეს ქართულ ბაზარზე,“ — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბენდუქიძემ.

ანდრიუ პოლაკმა 2012 წლის 21 მაისს გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოაქვეყნა სტატია „აქუაბაუნთისა“ და ბენდუქიძის ურთიერთობის შესახებ. **„მარტში „აქუაბაუნთიმ“ მოითხოვა 2 მილიონი დოლარი, საკმარისი იმისთვის, რომ კომპანიას ბიზნესი ეწარმოებინა წლის ბოლომდე... ბატონმა ბენდუქიძემ შესთავაზა ამ თანხის ნახევარი. სანაცვლოდ, „აქუაბაუნთი“ დაეთანხმა მიეყიდა მისთვის კვლევა და ოპერაციული განვითარება უბრალო დოლარად,“** — წერს პოლაკი. კახა ბენდუქიძემ დაგვიდასტურა, რომ **სტატიაში მოყვანილი ფაქტები ნამდვილია და შეგვიძლია, ვენდოთ.**

ამასთანავე, ბრიტანულმა „გარდიანმა“ 2013 წლის 20 მარტს გამოაქვეყნა სტატია გენმოდიფიცირებული ორაგულის წინააღმდეგ აშშ-ის სუპერმარკეტების ბოიკოტის შესახებ. „აშშ-ის საკვებისა და წამლების ადმინისტრაცია (FDA) გენმოდიფიცირებული ორაგულის ბაზარზე შეტანის საკითხის განხილვის ბოლო ეტაპზეა. თუკი დაამტკიცებენ, „აქუაბაუნთ“ ტექნოლოგიების ორაგული იქნება პირველი გენური ინჟინერიით მიღებული ცხოველი, რომელიც საკვებად მოიხმარება,“ — ვკითხულობთ სტატიაში.

კომპანია **„აქუაბაუნთ ტექნოლოგიების“** საქმიანობა მოიცავს გენური ინჟინერიის გამოყენებას ცხოველებში და ანვითარებს ჰიბრიდულ ორაგულს, რომელიც იზრდება გაცილებით სწრაფად, ვიდრე ბუნებრივ პირობებში.

ვინ აკონტროლებს დღეს ბაზარს?

სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოში ერთადერთი ორგანოა, რომელიც აკონტროლებს ქვეყნის ტერიტორიაზე დამზადებულ და იმპორტირებულ პროდუქციას. სააგენტომ ფუნქციონირება დაიწყო 2011 წლის 3 იანვარს, კანონში „საკვების უსაფრთხოებისა და ხარისხის შესახებ“ განხორციელებული ცვლილების თანახმად. სურსათის ეროვნული სააგენტო ჩამოყალიბდა ხარისხის კონტროლის სამსახურის გაუქმების შემდეგ და მისი ფუნქციები შეითავსა. დღეისთვის სააგენტოს მუშაობას განსაზღვრავს შემდეგი კანონმდებლობა: „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი,“ კოდექსი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ.“ ამ უკანასკნელის მეთერთმეტე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **მწარმოებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მომხმარებელი იმ რისკების შესახებ, რომელსაც შეიცავს ესა თუ ის პროდუქცია. მიუხედავად ამ რეგულაციისა, ქართულ ბაზარზე გასაყიდად შემოტანილ არც ერთ პროდუქტს არ აღენიშნება სპეციალური ნიშანი, რომელიც გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს განასხვავებს ბუნებრივად მიღებული პროდუქტისგან.**

ვერიკო გულუა, სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, მათი სამსახური აკონტროლებს ქვეყნის მასშტაბით მოქმედ საწარმოებს და ბაზარზე გასაყიდად გამზადებულ პროდუქტს. „ჩვენ ვამოწმებთ საწარმოებს გეგმიურად და არაგეგმიურად, ამ დროს ვსწავლობთ წარმოების პროცესის ჰიგიენურ მხარეებს, გარემო პირობებსა და შესაბამის დოკუმენტაციას. მეორეს მხრივ, ჩვენ გვაქვს მონიტორინგის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ვიღებთ კონკრეტულ ნიმუშებს ბაზარზე განთავსებული პროდუქტიდან და ვამოწმებთ მათ ლაბორატორიებში,“ — აღნიშნავს გულუა.

ამ ეტაპზე სურსათის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის პროცესს ახორციელებს 21 ინსპექტორი, თუმცა, იგეგმება მათი რაოდენობის გაზრდა. ისინი ამოწმებენ ყველა სახის პროდუქციას, რომელიც გამოიყენება ადამიანის მიერ საკვებად. თუკი აღმოჩნდება, რომ პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, ის იქვე ნადგურდება. სურსათის ეროვნული სააგენტო ამოწმებს ყველა ბაზარსა თუ სუპერმარკეტს თბილისის ტერიტორიაზე, მათ შორის მათაც, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ლაბორატორიები.

დავით ალექსიძის, შპს „პირამიდის“ დირექტორის თქმით, მათ სავაჭრო დაწესებულებას არ გააჩნია არანაირი ლაბორატორია. „ჩვენთან ბაზარზე, ძირითადად, განთავსებულია ხილი და ბოსტნეული, **მაგრამ სურსათის ეროვნული სააგენტო არ ამოწმებს ჩვენს პროდუქტს.** ისინი უფრო მეტად აქცენტს აკეთებენ მალფუჭებად პროდუქტებზე.“ **ირაკლი თხელიძის,** სავაჭრო სახლ „იმედის“ შემადგენლობაში შემავალი ბაზრის დირექტორის თქმით, მათ აქვთ საკუთარი ლაბორატორია და გასაყიდად მზა პროდუქტს ყოველდღე ამოწმებენ. „ჩვენთან ყველა სახის პროდუქტი იყიდება და სურსათის ეროვნული სააგენტო ამოწმებდა მათ. თუმცა, ახლა ისინი უფრო მეტად ფოკუსირებული არიან ხორცის პროდუქტებზე.“

მიუხედავად იმისა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო ამოწმებს როგორც იმპორტირებულ, ასევე ადგილობრივად წარმოებულ საკვებს, ისინი არ არიან ფოკუსირებული გენმოდიფიცირებული პროდუქციის შემოწმებაზე. ვერიკო გულუას თქმით, **არ არსებობს კანონი, რომელიც დაავალდებულებს რომელიმე სამსახურს გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქციის გაკონტროლებას. „თუკი ჩვენი პარლამენტი მიიღებს შესაბამის კანონს, ჩვენი სამსახურის დღის წესრიგში დადგება გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ლაბორატორიული შემოწმების საკითხიც,“** — აცხადებს გულუა.

დღეისთვის, თბილისისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს ლაბორატორია, რომელსაც ექნება შესაბამისი აკრედიტაცია გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შემოწმების შესახებ. ამავეს ადასტურებს **მერი დეკანოიძე,** აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს — აკრედიტაციის ცენტრის საჯარო ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელიც.

რა ხდება ახლა?

„ქართული ოცნების“ სათავეში მოსვლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ახალი ხელისუფლება აპირებს შექმნას კანონი, რომელიც დაარეგულირებს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ქვეყანაში გავრცელებას. ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა 2013 წლის დასაწყისში. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი უკვე დამუშავებულია, მისი განხილვა პარლამენტის მიერ ჯერ არ დაწყებულა. კანონპროექტის შექმნაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტის **თამარ ბაზღაძის** მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანონპროექტი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ ეხება მხოლოდ ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებს (ცმო) და არ მოიცავს მათი გადამუშავებით მიღებულ პროდუქტებს. შემუშავებული კანონპროექტი მოიცავს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებას სამი მიზნით:

1. გარემოში განზრახ ინტროდუცირება (დანერგვა);
2. სურსათად ან ცხოველთა საკვებად გამოყენება ან გადამუშავება;
3. ჩაკეტილ სისტემებში გამოყენება.

კანონპროექტის მიხედვით, იკრძალება ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ დანერგვა. ამის გასაკონტროლებლად უნდა შეიქმნას მონიტორინგის სისტემა გარემოში ცმო-ს არალეგალური ან განუზრახველი გამოთავისუფლების შემთხვევების გამოსავლენად. ასევე უნდა შეიქმნას პასუხისმგებლობისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მექანიზმი.

შემუშავებული კანონპროექტი ითვალისწინებს უშუალოდ სურსათად ან ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი ან გადასამუშავებელი ცმო-ს იმპორტირებასა და ბაზარზე განთავსებას მხოლოდ შესაბამისი ეტიკეტით, რომელიც შესამჩნევი იქნება მომხმარებლისთვის. საქართველოს ბაზარზე აიკრძალება იმ ცმო-ს განთავსება, რომლებიც აკრძალულია ევროკავშირში, თუმცა გამარტივებული წესით დაიშვება იმ ცმო-ების განთავსება, რომლებიც რეგისტრირებულია ევროკავშირში. ხოლო ევროკავშირში არარეგისტრირებული ცმო-ს რეგისტრაციასა და ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ არის მიღებული. კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ცმო-ს გამოყენება ჩაკეტილ სისტემებში მეცნიერული კვლევებისთვის ლიცენზიის ფლობის შემთხვევაში.

თუ როდის განიხილავს და მიიღებს პარლამენტი აღნიშნულ კანონპროექტს, ამ დროისთვის არ არის ცნობილი. მანამ კი ქართულ ბაზარზე განთავსებულ საკვებ პროდუქტს კვლავ „ერთი ღმერთის“ იმედად ვტოვებთ.

ნინო ბაქრაძე

400-მდე მუშა სამუშაოზე აღდგენას ითხოვს

ქართულ-ეგვიპტური საწარმო „ფრეშ ჯორჯიადან" 400-მდე მუშა გაათავისუფლეს.

ქართულ-ეგვიპტური საწარმო „ფრეშ ჯორჯიადან" გათავისუფლებულმა მუშებმა ქარხნის წინ აქცია გამართეს. აქციის მონაწილეთა თქმით, მათ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ რამდენიმე დღის წინ აცნობეს და 6 თვის განმავლობაში ეტაპობრივად აღდგენას შეჰპირდნენ, თუმცა მუშებს ამ დაპირების არ სჯერათ.

შეგახსენებთ, რომ „ფრეშ ჯორჯიაში" საოჯახო ტექნიკას აწარმოებენ. საწარმოში 900-მდე მუშაა დასაქმებული.

„უმიზეზოდ ვარ გათავისუფლებული სამსახურიდან. გამოგვიშვა ქართველმა ადმინისტრაციამ. მაინტერესებს, რატომ გაგვათავისუფლეს. ორ დღეში წადით და დაგიძახებთ 6 თვის მერეო. არ აინტერესებთ, ამ 6 თვის განმავლობაში როგორ ვარჩინო ოჯახი. არანაირი ხელწერილი არ მოგვცეს, გვითხრეს, რომ 6 თვის განმავლობაში დაგვიკავშირდებიან და აღგვადგენენ ეტაპობრივად," — ამბობს საწარმოდან გათავისუფლებული **ლალი ხაჭაპურიძე**.

„მივყავდით ჩამოყვანილი არაბების სახლებში, დამატებით ხელფასს არავინ გვიხდიდა და მათ მიერ დაქირავებული ბინების დასალაგებლად გვიშვებდნენ. გვეუბნებოდნენ, ჩვენ გიხდით ხელფასს და ვალდებული ხართ, ესეც გააკეთოთო," — განმარტავს „**ᲠᲢ**."-თან **ნანული ჯუღელი**.

აქციის მონაწილეებს ადმინისტრაციის წარმომადგენელი **მიშა ჭავჭანიძე** შეხვდა, მან მუშებს განუცხადა, რომ ისინი დროებით გაუშვეს:

„არ გაუთავისუფლებიათ ეს ხალხი საწარმოდან, საიდან მოიტანეთ?! ისინი დროებით გაუშვეს. მე არ ვარ უფლებამოსილი პირი სამსახურიდან გაშვების გადაწყვეტილებაზე, გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი მიხეილ თიგიშვილი, რომელიც 2 საათში მოვა ადგილზე და გაგესაუბრებათ."

აქციაზე მოვიდა და მუშებს შეხვდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე. ასევე ადგილზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც უმრავლესობის მხრიდან.

„უკანონობა ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როცა ხელშეკრულება არ მისცეს ამ ხალხს. არც ერთ ადამიანს ხელშეკრულება ხელში არა აქვს. 400 კაცი გამოყარეს ახლა სამსახურიდან. აქ ირღვევა კანონმდებლობა და ადამიანთა უფლებები, დაწერონ ამათ განცხადება, შემოიტანონ შესაბამის კომიტეტში და ჩვენ განვიხილავთ ამას," — განაცხადა **ომარ ნიშნიანიძემ.**

„ფრეშ ჯორჯიას" ქართული წარმომადგენლობის დირექტორმა მიხეილ თიგიშვილმა აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკება გამართა და მოლაპარაკების დასრულების შემდეგ მუშებს შეხვდა. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი გელა გაბადაძე, ქუთაისის საკრებულოს წევრი მამუკა მღვდელაძე და პროფკავშირების იმერეთის წარმომადგენლები.

თიგიშვილი საწარმოდან გათავისუფლებულ მუშებს 6 თვის განმავლობაში ეტაპობრივად აღდგენას დაჰპირდა.

„სამწუხაროდ, ინფორმაციამ გაჟონა ჭორის დონეზე. მე ავუხსენი მათ, რომ ესენი მიდიოდნენ დროებით შვებულებაში და 6 თვის მანძილზე ისევ გამოცხადდება სხვადასხვა წარმოებაში ადგილი და ეტაპობრივად დასაქმდებიან. რაც შეეხება არაბებთან მუშაობას სახლების დასუფთავებაზე, სისულელეა, მე ასეთ კითხვაზე პასუხს არ გაგცემთ," — ამბობს **მიხეილ თიგიშვილი.**

შეხვედრის შემდეგ გავესაუბრეთ აქციის მონაწილეს და მოვისმინეთ მისი შეფასება მიღებული გადაწყეტილების შესახებ.

ლევან აბდალაძე: „ერთი თვე მოვიცდით, როგორმე გავძლებთ. ვნახოთ, რა როგორ მოხდება, ჩვენთვის ძალიან ძნელია, 6 თვე ვერ მოვიცდით, ჩვენს უკან ოჯახები დგას და ათასი პრობლემაა. თუკი არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნა, იძულებული ვიქნებით, სხვა ზომებს მივმართოთ."

ქეთევან ლეგაანიძე

ვისია ჭიათურის მანგანუმის წარმოება, ზესტაფონის „ფერო" და „ვარციხეს"?

გაურკვევლობა ჭიათურის მანგანუმის საბადოების და ფეროშენადნობის წარმოების მიმართ კვლავ არსებობს.

2007 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ შპს „ჯორჯიან მანგანეზს" მიჰყიდა „ჭიათურმანგანუმი", ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და „ვარციხეს ციხესების კასკადი". „ჭიათურმანგანუმის" გაკოტრების მმართველისაგან ნასყიდობის საფუძველზე საეჭვო ვითარებაში გადაცემა „ჯორჯიან მანგანეზისადმი" მრავალ კითხვას ბადებს, თუმცა ამ ეტაპამდე არ არსებობს პასუხი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე: როგორ გაიყიდა 112 მილიონ დოლარად ისეთი აქტივები, როგორიც გახლავთ ჰესი, მეტალურგიული კომბინატი და ჭიათურის უმდიდრესი მანგანუმის საბადოები პირველადი გადამამუშავებელი საწარმოებით. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ გაკოტრების მმართველისაგან გაცემული ნასყიდობის არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ ჩანს.

ადრეც არაერთხელ ითქვა, რომ „ჯორჯიან მანგანეზი" სახელმწიფოსთან დადებული ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე აწარმოებდა მანგანუმის რეწვას. რაც შეეხება ნასყიდობას, მისი შინაარსი უცნობია (სავარაუდოდ, ეს დოკუმენტიც არ არსებობს, რადგან, მისი გამოთხოვის მიუხედავად, დაინტერესებულმა პირებმა ვერ მიიღეს კანონით გათვალისწინებულ ვადებში).

2013 წლის 21 მარტს კვლავ გაიყიდა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ირკვევა, რომ შპს „ჯორჯიან მანგანეზის" მფლობელმა შპს „გ.მ. ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმიტედმა" „ჯორჯიან ამერიქან ელოიზზე" მოახდინა თავისი აქტივების გასხვისება. რამდენად გასხვისდა „ჯორჯიან მანგანეზი", საკითხავია, რადგან კომპანიის დირექტორად კვლავ ვ. ლოზინსკი რჩება და ფაქტია, რომ ადმინისტრაციულად თითქმის არაფერი შეცვლილა. ფიქრობენ, რომ ეს ორი შპს ერთი და იმავე პირებისაა და მოსალოდნელი მოკვლევებისათვის თავგზის ასაბნევად ხდება ხელიდან ხელში გადაცემა ქართული სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ფლაგმანისა.

როგორც ირკვევა, „ამერიქან ელოიზის" სათავო ოფისი მდებარეობს მაიამიში (აშშ) და დაფუძნებულია ლუქსემბურგის კანონმდებლობის საფუძველზე. აღნიშნული კომპანიის პროფილი ფეროშენადნობის წარმოებაა. „ამერიქან ელოიზის" ფეროპროდუქციას იყენებს რკინისა და რკინის შენადნობების წარმოებისათვის „Felman Production", „Felman Trading" და სხვა ამერიკული კომპანიები, რომლებიც „ამერიქან ელოიზის" შვილობილ ორგანიზაციებად სახელდება.

კულუარული ინფორმაციით, ჭიათურის მანგანუმის საბადოების მიმართ ინტერესი გააჩნიათ ბეჟუაშვილებს და პრეზიდენტ სააკაშვილის ოჯახს. როგორც თეიმურაზ შაშიაშვილი აცხადებს, მას იმერეთის გუბერნატორობის პერიოდში შევარდნაძისათვის მიუმართავს, რომ „ჭიათურმანგანუმი" გადასცემოდა ბიძინა ივანიშვილს სამართავად და თითქმის გადაწყვეტილი საკითხი დაუბლოკავთ ბეჟუაშვილებსა და სააკაშვილს.

როლანდ ხოჯანაშვილი

რატომ მფარველობენ სატრანსპორტო კომპანიებს ქუთაისის ტრანსპორტის სამსახურში?

გასულ კვირას №48 მიკროსაავტობუსო ხაზზე მოძრავ ერთ-ერთ მიკროავტობუსზე დასაქმებულ მძღოლსა და მოქალაქეებს შორის დაპირისპირება მოხდა. ავანგარდის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსი სვლაგეზზე 40 წუთის დაგვიანებით გამოვიდა, რის გამოც მგზავრებმა პროტესტი საჯაროდ გამოთქვეს.

მათი თქმით, მომხდარი ერთჯერად ფაქტს არ წარმოადგენს და მიკროავტობუსის მძღოლების მიერ მომსახურებასთან დაკავშირებული დარღვევები სისტემურ ხასიათს ატარებს. კერძოდ, მძღოლები აკეთებენ დადგენილზე ხანგრძლივ ინტერვალებს, აცდენენ მორიგეობას და თვითნებურად იცვლიან სვლაგეზს. მასობრივი დარღვევების გამო მოქალაქეების მიერ არაერთხელ გამოთქმული პროტესტის მიუხედავად, პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება.

„როცა საყვედურს გამოვთქვამთ, მძღოლების მხრიდან ცინიკურ დამოკიდებულებას ვიღებთ. თუ არ სურთ მუშაობა, უნდა წავიდნენ," — ამბობს ერთ-ერთი მგზავრი **ლუიზა სვანიძე**.

აღსანიშნავია, რომ № 48 მიკროსაავტობუსო ხაზი ავანგარდის, კერძოდ, სულხან-საბას ქუჩის მოსახლეობის თხოვნით დაინიშნა. როგორც აღნიშნული ქუჩის მცხოვრებლები ამბობენ, მიკროავტობუსების მძღოლები დანიშვნის დღიდან დარღვევებით მუშაობენ.

ქუთაისის ტრანსპორტის სამსახურში პრობლემის შესახებ კარგად იციან და, როგორც ამბობენ, ამ მიზეზით არაერთხელ გააფრთხილეს გადამზიდავი კომპანიის ხელმძღვანელობა, თუმცა კომპანია „ავტოტრანსკორპორაციის" მისამართით ქმედითი ღონისძიება ამ დრომდე არ გატარებულა. სამსახურის უფროსი კახა კეპულაძე ადასტურებს, რომ „ავტოტრანსკორპორაციას" მისი მუშაობის 5 წლის მანძილზე არც ერთი საყვედური არ მიუღია.

„რაც მე ტრანსპორტის სამსახურში ვარ, არც ერთი კომპანია არ დაჯარიმებულა და არც ოფიციალური საყვედური მიუღია," — ამბობს ტრანსპორტის სამსახურის უფროსი **კახა კეპულაძე.**

კულუარებში დიდი ხანია არსებობს ინფორმაცია ქუთაისში სატრანსპორტო მონოპოლიებზე. კერძოდ, საუბარია „ნაციონალებისა" და ყოფილი „ნაციონალების" მიერ სხვადასხვა სატრანსპორტო კომპანიაში წილების ფლობაზე. აქედან გამომდინარე, ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელობა გვერდს უვლის მრავალჯერადი დარღვევის ფაქტზე სამართლებრივ რეაგირებას.

ასევე წილების ფლობას უკავშირებენ უკვე დადასტურებულ ინფორმაციას საქალაქო ტრანსპორტზე ფასების ზრდასთან დაკავშირებით. ტრანსპორტის სამსახურში ფასების ზრდას საწვავის გაძვირებით ხსნიან.

მარი პატარაია

ვისთვისაა საოცნებო ახალი შრომის კოდექსი - როზა ლუქსემბურგის თუ ქართველი ამომრჩევლისთვის?

მე-3 გვერდიდან

„შრომის კოდექსის შეცვლა ცალსახად პოზიტიურია. ამდენი ხნის განმავლობაში ვამბობდით, რომ არსებული შრომის კოდექსი დასაქმებულების უფლებებს არ იცავს და, შესაბამისად, უნდა შეიცვალოს. მაგრამ, მგონია, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავიდეთ. დღეს საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე კარგი იქნება ოქროს შუალედი ავიღოთ და შრომის კოდექსი ამის მიხედვით შევცვალოთ. არის რამდენიმე მომენტი წარმოდგენილ ვარიანტში, რომელიც დამსაქმებელს ცუდ მდგომარეობაში აყენებს. ჩვენი მთავარი მიზანი, ალბათ, ისიცაა, რომ ბიზნესგარემომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ბევრი სამუშაო ადგილის შექმნას. არ მგონია მიზანშეწონილი, ისეთი დებულებები შევიტანოთ შრომის კოდექსში, რომლებმაც, შესაძლოა, ეს პროცესი შეაფერხოს," — ამბობს **ეკა გიგაური**.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" მხრიდან შენიშვნებს რამდენიმე მომენტი იწვევს. მაგალითად, ორგანიზაცია ვადიან ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ დებულებას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხელშეკრულებების რეგულირება სხვადასხვა რეჟიმში უნდა ხდებოდეს — რომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მოკლევადიანი დასაქმების დროს გარკვეული რეგულაციები არსებობდეს. თუმცა, თუკი შეხება გვექნება გრძელვადიან ხელშეკრულებებთან, ანუ ისეთ ხელშეკრულებებთან, რომლებიც ორი, სამი ან ექვსი წლის განმავლობაში იდება, ამ შემთხვევაში დამსაქმებელს მეტი მოქნილობა უნდა მიეცეს და ზედმეტი რეგულაციები არ იყოს.

აგრეთვე, ზეგანაკვეთური შრომის საკითხები და ამასთან დაკავშირებული გადასახადები გაწერილი უნდა იყოს კანონში და შრომით ხელშეკრულებაში. დაბალი ხელფასის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნას ზეგანაკვეთური გადასახადები, მაგრამ თუკი საუბარია დიდ ხელფასებზე, მაშინ დამსაქმებელს უფრო მეტი მოქნილობა უნდა ჰქონდეს. მან შეიძლება დასაქმებულს სხვა ბენეფიტები, მაგალითად, არაფულადი სახით დამატებითი სარგებელი მისცეს.

რაც შეეხება კოლექტიურ ხელშეკრულებებს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა მიიჩნევს, რომ აქაც შეიძლება გარკვეული ცვლილება შევიდეს წარმოდგენილ პროექტში და კოლექტიური ხელშეკრულებები უნდა დაიდოს არა მხოლოდ პროფკავშირების წევრებთან, არამედ თვითორგანიზებულ ჯგუფებთანაც, რადგან არ არის აუცილებელი ადამიანი პროფკავშირის წევრი იყოს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის თქმით, მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტრომ შრომის კოდექსი წარმოადგინა, პროექტმა გარკვეული ცვლილება განიცადა. იუსტიციის სამინისტრო შეხვდა ბიზნესასოციაციის წარმომადგენლებს და გარკვეული შენიშვნები გაითვალისწინა. თუმცა, ძირითადი დებულებები მაინც რჩება, რომელზეც კონსენსუსი უნდა შედგეს.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ბიზნესმენებთან შეხვედრების შედეგად, შრომის კოდექსის კომპრომისულ ვარიანტთან ახლოს ვართ.

„შრომის კოდექსში ცვლილებების რამდენიმე საკითხი რჩება შესათანხმებელი. 3 კვირაა ინტენსიური შეხვედრები მიმდინარეობს ბიზნესის წარმომადგენლებთან, უცხოელ ექსპერტებთან და კომპრომისთან ძალიან ახლოს ვართ. ის აჟიოტაჟი, რაც ამ კანონპროექტის ირგვლივ ატყდება ხოლმე დროდადრო, გასაგებიცაა, იმდენად მახინჯი კანონპროექტი დაგვხვდა, მაგრამ ჩვენ ძალიან ახლოს ვართ კომპრომისთან. ბოლომდე ყველა კმაყოფილი ვერ იქნება," — განაცხადა **დავით უსუფაშვილმა.** მისივე თქმით, პარლამენტი აღნიშნულ საკითხზე მუშაობას მომავალ კვირას განაახლებს.

ციტნე პაატაშვილი

9 მაისი, სტალინი

68 წელი გასულა 1945 წლის 9 მაისიდან. 68 წელია, კაცობრიობა ვერ ივიწყებს ამ უდიდესი ომის პერიპეტიებს, პერსონაჟებს, უცნობ ჯარისკაცებს,საკონცენტრაციო ბანაკების დანომრილ პატიმრებს, მოურჩენელ ტკივილებს და უდიდეს შეძრწუნებას — თუ რა შეუძლია აკეთოს შეშლილმა მსოფლიომ... და მაინც, რა იყო ეს? „ომი გადაარჩენს გერმანელ ხალხს, ეს ღმერთის განაჩენია!" — ამბობდა ფიურერი. „ომი საშინელი სტატისტიკაა!" — ამბობდა საბჭოთა დიქტატორი. ღმერთის ამ საშინელმა „განაჩენმა" და საშინელმა „სტატისტიკამ" შეიწირა მილიონობით სიცოცხლე, საუკუნით შეაფერხა ცივილიზაციის სვლა და მაინც, დღემდე ჭკუა ვერ ასწავლა კაცობრიობას.

ომმა, რომელმაც მსოფლიოს ყველა კუთხე მოიცვა, ძირითადად ჰიტლერის, მუსოლინის, სტალინის, ჩერჩილის, რუზველტის ხელში გაიარა. ინტერესი ამ ადამიანების მიმართ დღემდე არ ჩამქრალა. ვინ, რატომ, როგორ — ალბათ, ესაა ძირითადი მაკონტროლებელი კითხვები. შეფასებები არაერთგვაროვანია. ისტორია თავისას ამბობს. დრო არაფერს ივიწყებს.

იტალიაში ყოფნის ცხრა წელმა სულ სხვა თვალით დამანახა იტალიური ფაშიზმი, გერმანული ნაციზმი და საბჭოური ბოლშევიზმი. ათიათასობით დოკუმენტურ მასალას იეროგლიფების ცოდნა არ სჭირდება. აშკარად, გარკვევით იკითხება და ანალიზდება ყველა დეტალი. ამ მასალების მიხედვით, ჰიტლერი იყო: „გენიალური მატყუარა", „კრიმინალი", „ჭკუით ავადმყოფი", „სიკვდილის სამეფოს ბატონი", „ნგრევის უდიდესი კომენდანტი", „ყველაზე საშიში კაცი მსოფლიოში". იგივე დოკუმენტური მასალებით, სტალინი — „უჭკვიანესი დიქტატორი", „რკინის ნებისყოფიანი სტრატეგი", „შოკისმომგვრელი, მაგრამ უღალატო პიროვნება", „ლაპარაკობდა ცოტას, აკეთებდა ბევრს", „თავის ჩრდილში ამყოფებდა დიდ და პატარა პოლიტიკოსებს", და ბოლოს, „იყო კავკასიელი, ქართველი, ესე იგი, თავისი სიტყვის პატრონი, ესე იგი, სიტყვის კაცი". ამას არ ამბობს საბჭოური ისტორია, ამას მსოფლიო ისტორია ამბობს. „როცა კულტი კულტურად იქცევა, იწყება ფანატიზმი" (ენრიკო კარუზო). ამ ომმა ორი ფანატიკური სამყარო დაუპირისპირა ერთმანეთს. ამ ომმა ორი უღმერთო ადამიანი შეახვედრა ერთმანეთს და ღმერთის განაჩენმა 1945 წლის 9 მაისს რაიხსტაგზე საბჭოთა დროშა აღმართა.

აუხსნელი საოცრებებიც არის ამ ომის ისტორიაში. ნახევრად შეშლილმა, ავადმყოფმა კაცმა შეძლო გერმანელი ერის მობილიზება მსოფლიო ბატონობისათვის. ფეხზე დააყენა და მომართა ნახევარი მსოფლიო მეორე ნახევრის დასაპყრობად... მან შეძლო მსოფლიოს აგონიაში ჩაგდება და ჯოჯოხეთის კარუსელის დატრიალება...

„უღმერთო დიქტატორმა" ფეხზე დააყენა უღარიბესი და გაუნათლებელი რუსეთი. უსწრაფესი ტემპებით აშენა, აკეთა, შეაიარაღა, გააერთიანა ქვეყანა და არნახულ ქარიშხალს ღირსეულად დაახვედრა. „რაიხის ბედი ჩემზეა დამოკიდებული!" — ჰიტლერი. „ომის ბედი საბჭოთა ჯარისკაცზეა დამოკიდებული!" — სტალინი. „ბოლშევიზმი გერმანელი ხალხის მტერია, კომისრები უნდა გაიწყვიტოს!" — ჰიტლერი. „ჩვენ არ ვებრძვით გერმანელ ხალხს, ჩვენ ვებრძვით ფაშისტურ გერმანიას!" — სტალინი. „ჩემ სიცოცხლეში ხელს არ მოვაწერ კაპიტულაციას!" — ჰიტლერი. „ჩვენ ომს ბერლინში დავამთავრებთ!" — სტალინი. და ასე დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. ბოლოს, ნიუბერგის პროცესზე გერინგის ცნობილი ფრაზა —„ოჰ, ეს რუსები!" დიახ, რუსები, რომლებმაც შეუძლებელი შეძლეს და ომი დაასრულეს იქ, სადაც მსოფლიოს ბატონობის, მსოფლიოს დასაკუთრების, გადანაწილების იდეა ჩაისახა. ნიუბერგის პროცესის ნომერ პირველ სკამზე მჯდომმა გერინგმა, რომელიც ოქროს ფილებით მოპირკეთებულ აბაზანებს, ოქროს სახელურიან კარ-ფანჯრებს, ძვირფასი ქვებით მოჭედილ შანდლებს, უნიკალური სურათების კოლექციებს (და ასე შემდეგ), უზარმაზარ სიმდიდრეებს ფლობდა, ზიზღით განუცხადა კაცობრიობას: „ჩვენი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ომი წავაგეთ". თუ რას უპირებდნენ საბჭოთა კავშირს ომის დამთავრების შემდეგ, გერინგმა სიამაყით აღიარა: „მე ძველი მონადირე ვარ და ვიცავ წესს — დათვის ტყავი მას შემდეგ უნდა გაანაწილო, როცა მას მოკლავ". ტყავის განაწილება იმის მიხედვით მოხდებოდა, თუ რა ღირებულებების იქნებოდა ეს ტყავი.

იტალიაში ყოფნის დროს ვცდილობ, იტალიელებს ვათქმევინო ბენიტო მუსოლინის უარყოფითი, ცუდი, საწყევარი, ავადმოსახსენებელი. თქვენ წარმოიდგინეთ, უმრავლესობა დუმს, უმცირესობას უძლიერეს ხელისუფლად მიაჩნია. მუსოლინის შვილიშვილი, ალექსანდარა მუსოლინი, პარლამენტიდან სიამაყით აცხადებს: „თავი დაანებეთ ბაბუაჩემს, მას თავისი ადგილი აქვს იტალიის ისტორიაში". საქართველოში კი არავინ ამბობს — თავი დაანებეთ სტალინს, მან მსოფლიოს ერები იხსნა ერთიანი ფაშისტური სიკვდილისაგან. ქვეყანა, რომელსაც სამასი ათასი შინმოუსვლელი დაუტოვა ამ ომმა, არად აგდებს ღიმილის ბიჭების ხსოვნას, ამ ომში გამარჯვების მეთაურის უდიდეს ღირებულებებს, და თუ სადმე ძეგლი და ბიუსტი ნახა, ყველგან მოთხარა, საღებავები გადაასხა, აგინა, ლანძღა, დახვრიტა, ჩამოახრჩო, ისტორიის სანაგვეზე გადააგდო... და მაინც — ის არის! ის აოცებს მსოფლიოს თავისი უდიდესი გონებით, თავდაჭერილობით, შორსმჭვრეტელობით, ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარით. „დიქტატორი" — ამაზე მეტ ბრალდებას მას მსოფლიო ისტორია ვერ უბედავს. ალბათ იმიტომ, რომ ეს „დიქტატორი" დირიჟორობდა ომს და მის სამართლიან დასასრულს...

ერთხელ, ერთ-ერთ ექიმთან ვიზიტის დროს, კაბინეტში შესვლისთანავე მკითხა: „შენ (?) სტალინის ქვეყნიდან ხარ?" „დიახ"— იყო ჩემი შეცბუნებული პასუხი. „ტროდი როცა მოკვდა?" „არა, ჩემი მშობლები ტროდნენ". „შეგიძლია წახვიდე, მე არ მიგიღებ". არ გავღიზიანებულვარ, პირიქით, საოცარი სიამაყე ვიგრძენი. პირველი, სტალინის ქვეყნიდან ვარ! მეორე, სტალინის ვიღაცებს დღესაც ეშინიათ!

მეორე შემთხვევა. ავადმყოფ ქალბატონს საავადმყოფოში თავზე ვადგავარ. ექთანმა გამომიცხადა, რომ მკურნალი ექიმი მიბარებდა. შევედი უზარმაზარ კაბინეტში. საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა და გამომიცხადა: „გავიგე, რომ ქართველი ხართ, სტალინის ქვეყნიდან. მიხარია, რომ გაგიცანით. როდესაც სამშობლოში ჩახვალთ, იმ პატარა ქოხში, ჩემს სახელზე ყვავილები მიიტანეთ". თვალები ცრემლებით ამევსო, მადლიერებით შევხედე და შევპირდი, რომ თხოვნას შევუსრულებდი.

სამშობლოში დაბრუნებულს აღარც სტალინის ქოხი დამხვდა, აღარც სტალინის ძეგლი და აღარც სახსენებელი.

ყოჩაღ, ქართველებო! ღირსეულ შვილებს ასე ადვილად რომ ასხვისებთ, ასე ადვილად რომ კლავთ. და მაინც, „საბჭოთა დიქტატორი" არის! იქნება! და ყოველთვის მოსვენებას დაუკარგავს ისტორიას. ფაშიზმზე გამარჯვების სამოცდამერვე წელს აღნიშნავს მსოფლიო და ისევ „საბჭოთა დიქტატორის" ღირსებებს იხსენებს. მე კი მინდა აქედან ვიყვირო: თავი დაანებეთ სტალინს, მას თავისი ადგილი აქვს მსოფლიოს ისტორიაში!

პატივისცემით,
ცისანა იობიძე,
იტალია

ყანწიანი ქართველების ქვეყანა

1492 წელს კოლუმბის მეზღვაურებმა ინდოეთისკენ მიმავალი გზის ძებნაში ამერიკის კონტინენტი „მოძებნეს" და წყნარი ოკეანის უსასრულობით დაღლილებმა, დაწყვეტილებმა, დახოცილებმა მიწა რომ დაინახეს იბღავლეს: „მიწაა"! მიწის მონატრებით გამოწვეული ეს ბღავილი, ბოლო წლებია, საქართველოში ისმის. არა, ხომალდებით არავინ მოგვდგომია...



მხატვარ ლადო თევდორაძის ნახატი

ინტერნეტში ჩაიტვირთა, რა სამოთხეს ვფლობთ ეს გადაშენების კარზე მდგარი ქართველი თათქარიძეები, დაიწყო კომპიუტერული „ბრძოლები" ისედაც „შაგრენის ტყავივით" დაპატარავებული საქართველოს მიწების მისათვისებლად და „იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით... იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი... იყიდება პატარა-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ; ბანკის დახმარებით და ჩვენის საშუალებით."

დაუჯერებელია, ეს სიტყვები მე-19 საუკუნეში დაწერილიყო. კარგად მოვიძიოთ, ბატონი ნიკო სადღაც, დიდი საქართველოს ჩრდილში იქნება შეფარებული და გადაგვარებულ გლეხს და აზნაურს, თავადს და ერისმთავარს, ნაზირს და ვეზირს, მეფეს და მის მასხარებს საქართველოს გაყიდვაში ადანაშაულებს.

ოფიციალური თუ არაოფიციალური ცნობებით, ქვეყნის ხელშეუხებელი სიმდიდრე — მიწა, ქართველებს აღარ ეკუთვნით...

აფხაზეთი აფხაზების ყოფილა და „დიდმა" ქართველმა მხედართმთავრებმა, რატომღაც, რუსეთს ჩააბარეს. სამაჩაბლო, უკაცრავად, სამხრეთ ოსეთი, ოსური ენის არმცოდნე და ხუთ ენაზე მოლაპარაკე პრეზიდენტმა, „არაფერი შემეშალოსო", ჩირგვებში შემძვრალმა რუსეთის დაუკანონა: ჩრდილოეთ ოსეთს თუ უვლი, სამხრეთზეც თავი გიტეხიაო. ამის მერე კუმ ფეხი გამოყო და ყველა ჯურის ჯავშნოსანმა კუებმა ერთად დაიწყ ეს შემოძრომა. კახეთში ირანელები და ინდუსები სახლდებიან; აჭარა თურქებისაა და ვინ ედავებათ; სამცხე-ჯავახეთი სომხების იყო, არის და მომავალშიც განაღდებული აქვთ, „ცავატანემ"; ტყიბულისა და სურამის ტყეებში ქართველებს ფიჩხის გამოტანა არ შეუძლიათ; ბორჯომის ხეობაში რა ხდება, „აგენტი 007" ვერ გაარკვევს; ჩინელები „ულამაზეს" ჩინურ ქალაქებს გვიშენებენ; იტალიელებმა თხილისა და ღვინის (?!) წარმოების სადავეები იგდეს და აუუუ, ქართველებს ფაფახები დაუხურავთ და ხელში ყანწებით სამშობლოს სადღეგრძელოს სულ ალავერდით სვამენ...

სმაზე ერთი ლეგენდა გამახსენდა. მამა ღმერთმა მიწების გადანაწილება რომ დაასრულა და იფიქრა, ყველა კმაყოფილი მყავსო, შექეიფიანებული (სიმთვრალე რა საკადრისია!) ქართველები გამოეცხადნენ და სამოსახლო მიწები მოსთხოვეს (მოთხოვნა, იცოცხლე, იციან ქართველებმა!). უფალი შეწუხდა და შემოუწყრათ, აქამდე სად იყავითო. „ნაბდები გავშალეთ, კარგად მოვულხინეთ, სულ შენი ჯანმრთელობის და ჭკუა-გონების სადღეგრძელოები შესვით, ცოტა წავიცეკვეთ, ცოტა ერთმანეთს წავუთაქეთ და, აი, ასე დაგვემართაო". უფალი რის უფალია, ჭკვიანსაც და უჭკუოსაც თუ თავის კალთა არ გადააფარა და თავისთვის დატოვებული სამოთხის ბაღი დაუთმო ყანწიან და ნაბდიან ქართველებს. თან დაუბარა — აბა თქვენ იცით, არ შემარცხვინოთ და ჩემი მიწა არავის მიყიდოთო.

ამის მერე „გამოხტნენ" ეს დალოცვილები: ფარნავაზი ვარო, ვახტანგი ვარო, დავითი ვარო, თამარი ვარო, გიორგი ვარო, სოლომონი ვარო, ლუარსაბი ვარო, ის კიდევ, ბოლოს, სულ ცხენზე რომ ეძინა და ეღვიძა, ფრიდრიხ მეორე რომ ამბობდა — „დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში ერეკლეო", ჰო, ერეკლე მეორე, და უფალს კუთვნილი მიწა შეუნარჩუნეს...

„მერე, მერე რა იყოო?" — სულმოუთქმელად კითხულობენ გონებაწართმეული, უკაცრავად, ცოცხებზე გადამჯდარი ქართველები. მერე ის იყო, რომ ტაშ-ფანდური არ დაიკელით, ვენახს და კარ-მიდამოს შამბნარი გაუჩინეთ და ცხვირ-წინ აგაცალეს ღვთით ბოძებული მიწა-წყალი. სწორია ის ხუთ ენაზე მოლაპარაკე კაცი. ხვნა-თესვა თქვენ აღარ იცით, ცხვარ-ძროხა თქვენ აღარ გაგაჩნიათ, ხმალს ერთმანეთს თუ მოუქნევთ და ღვთის ნაჩუქარ მიწას უპატრონოდ ხომ არ დატოვებდა?! მხოლოდ ერთი შეეშალა: გაყიდვა არა, დიდი დავითივით, აღნიშნული ერები ასი ათასობით უნდა ჩამოესახლებინა და მერე ქუდზე კაცისათვის დაეძახა არჩევნებზე. ახლა კოტა საშიშია, მიწა რომ მიყიდე, ხმის მიცემაში ფულს მოგთხოვს... მოკლედ, აღარ ვიცი, რა იქნება. თუმცა, ქართველს იმედს რა მოუშლის და ველოსიპედის სავალ გზებს მაინც დაიტოვებს. ისე, სასწრაფოდ არის საჭირო ქართველების გადათვლა, რომ ყველას თითო მუჭა ქართული მიწა დაურიგდეს — ქალებმა უბით რომ ატარონ და კაცებმა წაღებში ჩაიფინონ. ერთ ორმოცდაათ წელიწადში ეს ღვთის წილხვედრი ქვეყანა მართლაც სამოთხედ იქცევა. წარმოიდგინეთ, ყველა ერის წარმომადგენელი, ერთად თავმოყრილი, ქართულ ენაზე რომ ილაპარაკებს და ქართული ბაბილონის გოდოლის შენებას რომ დაიწყებს...

უფალო! რაღაც შენი საწინააღმდეგო მზადდება ამ უხეირო, ყანწიანი, ნაბდიანი ქართველების ქვეყანაში!

P.S. მორიდებული თხოვნა. იქნებ ჰკითხოთ ბატონ პრემიერ-მინისტრს, საუკუნის ძეგლი რომ აგვიშენა ქართველებს, ის მიწა ხომ აქვს საკუთრებაში?

ნათია სვანიძე

მეგა კრედიტი

Mega Credit

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას:

- უჯარიმო, სალომბარდო სესხები ოქროს უზრუნველყოფით 2,5%-დან
- იპოთეკური სესხები
- ფულადი გზავნილები
- სავალუტო ოპერაციები

ასევე თქვენ გაქვთ საშუალება, განათავსოთ თქვენი ფულადი სახსრები დეპოზიტის სახით, რომელზეც დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი.

„მეგა კრედიტის" ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ფილიალში დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ „ლიბერთი ბანკის" მომსახურებით.

ქუთაისი, რუსთაველის 141 („ჰოჰულში"); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან"); (0 431) 27 67 10

ყვირის ჰოროსკოპი

♈ ვერძი: უმჯობესია დრო ისეთ საქმეებს დაუთმეთ, რომლებიც თქვენგან დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს. ამ კვირაში ყველაფერი გამოგივათ.

♉ კურო: ახალ ინფორმაციას გაიგებთ, გახსოვდეთ ახლა წარმატების დროა. არ აჰყვეთ ჭორებს. ჩაუღრმავდით საკუთარ თავს და მრავალ კითხვაზე შეძლებთ პასუხის გაცემას.

♊ ტყუპები: გელით სერიოზული სამუშაო და თამამი ჩანაფიქრების ასრულება. იყავით თავშეკავებულები, ამით მეტი საშუალება მოგეცემათ ჩანაფიქრის ასრულებაში.

♋ კირჩხიბი: დამაჯერებლობა და მიზანდასახულობა თქვენი მთავარი კოზირი იქნება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ოჯახურ ვახშამზე მოგიწევთ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით თავის მართლება.

♌ ლომი: გაგეხსნებათ ახალი გზები და საშუალებები, რათა მოაგვაროთ ცხოვრებისეული პრობლემები, ამისათვის ცივი გონებით უნდა იმოქმედოთ და ემოციები უკანა პლანზე გადასწიოთ. თუ თქვენს საქმიანობას კომერციული სახე აქვს, მაშინ გარკვეული სიფრთხილე გამოიჩინეთ.

♍ ქალწული: გაგიჭირდებათ საკუთარი ემოციების გაკონტროლება, შეეცადეთ თავიდან აიცილოთ კონფლიქტები და დაუგეგმავი ხარჯები.

♎ სასწორი: პირად ცხოვრებაში პრობლემები მოიმატებს. კარიერაში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ერიდეთ. წარმატება გელით საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში.

♏ მორიელი: შეეცადეთ სამსახურს და საოჯახო საქმეებს აქტიური დასვენება შეუთავსოთ.

♐ მშვილდოსანი: ჰარმონიული ურთიერთობების დროა, ამიტომ დროის მნიშვნელოვანი ნაწილი საყვარელ ადამიანსა და ოჯახის წევრებს დაუთმეთ. საქმიანი შეხვედრები მომავლისთვის გადადეთ. თუ თქვენი პროფესია შემოქმედებას უკავშირდება, წარმატება გელით.

♑ თხის რქა: კარგი იქნება დროის გატარება ოჯახის წევრებთან. დროს უქმად ნუ დახარჯავთ, მაქსიმალურად გამოიყენეთ შექმნილი შესაძლებლობები.

♒ მერწყული: ეცადეთ არაფერი დაგეგმოთ. არ მოუსმინოთ ჭორებს, რადგან შეიძლება გული გეტკინოთ. ეცადეთ დამთმობი იყოთ, ეს საქციელი წინ წაგწევთ პირად ცხოვრებაში.

♓ თევზები: გამოიყენეთ შორეულ პერსპექტივაზე სიამოვნებით მუშაობის შესაძლებლობა. ახლა მეტი ენერგია და შეუპოვრობა გაგაჩნიათ.

1	4	8	5	6	9	3	2	7
3	7	2	8	4	1	9	6	5
6	5	9	7	2	3	4	8	1
5	2	3	4	9	7	8	1	6
9	8	6	2	1	5	7	4	3
7	1	4	3	8	6	2	5	9
2	6	7	1	3	8	5	9	4
4	9	5	6	7	2	1	3	8
8	3	1	9	5	4	6	7	2

„სრულყოფილებასთან ახლოს - ასეთი იყო ქეთევან ძოწენიძე"

ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ გამოჩენილი ენათმეცნიერი ქეთევან ძოწენიძე ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოს შესასვლელში, ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს განისვენებს. ასევე, მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეს მოეხსენება მისი იმ ფუნდამენტური ნაშრომების შესახებ, რომელთაც მნიშვნელოვნად შეავსეს ქართული ენათმეცნიერების საგანძური.



ქეთევან ძოწენიძე

წიგნი, რომელიც ახლა გამოვიდა, ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენებს დიდებული მეცნიერის, მკვლევარის, მოქალაქის, პიროვნების ღვაწლს.

„სრულყოფილებასთან ახლოს — ასეთი იყო ქეთევან ძოწენიძე" — ამ სახელწოდებით გამოსცა პროფესორმა ჟუჟუნა ფეიქრიშვილმა თავისი დიდი მასწავლებლის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი. მან, რედაქტორ-შემდგენელმა, საფუძვლიანად დაამუშავა მეცნიერის პირადი არქივი, მოიძია და დამატებითი მასალებით შეავსო იქ არსებული დოკუმენტები. წიგნს ახლავს მისივე წინასიტყვა, შესავალი, დართული აქვს საყურადღებო შენიშვნები და კომენტარები, უხვად ილუსტრირებულია.

მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, გაეცნოს ქეთევან ძოწენიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად თარიღებს, მისი შრომების ბიბლიოგრაფიას (შესულია გამოუქვეყნებელი შრომებიც), წაკითხულ მოხსენებათა ჩამონათვალს, მიმოწერას ცნობილ მოღვაწეებთან, მისდამი მიძღვნილ წერილებს და ლექსებს, თანამედროვეთა მოგონებებს. განსაკუთრებით საინტერესოა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული პოეტი — ჯარისკაცის, სევერიან ისიანის ფრონტული წერილები.

პროფესორ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის დიდი ძალისხმევით, გაცოცხლებულია ენათმეცნიერი ქალბატონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალი მნიშვნელოვანი ეპიზოდი.

„ცოტა მყოლია ისეთი ნიჭიერი, შრომისმოყვარე და ენერგიული მოწაფე, როგორიც იყო ქუთაისის პედ. ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, დოცენტი ქეთევან ძოწენიძე, რომელსაც მისი სტუდენტობის დროიდან ვიცნობდი," — ასე წერდა ქართული ენათმეცნიერების კორიფე აკაკი შანიძე. ქეთევან ძოწენიძის ნიჭიერებას და მეცნიერულ ალღოს ასევე მაღალ შეფასებას აძლევდნენ მისი ხელმძღვანელები: არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სხვები.

„სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეთა ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით", „ზემოიმერული კილოკავი" (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები", „ზემოიმერული ლექსიკონი" — ეს ის უმნიშვნელოვანესი შრომებია, რითაც ქეთევან ძოწენიძემ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ენათმეცნიერებაში.

„... როცა ქეთევან ძოწენიძის არქივს გავეცანი, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ თანამედროვე საზოგადოებამაც უნდა გაიცნოს ერთი მშვენიერი ქალბატონის ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრების ეპიზოდები, მისი სულის წუხილი... გაიცნოს და, ალბათ, ბევრი რამაც უნდა გაითავისოს," — წერს წინასიტყვაში პროფესორი ჟუჟუნა ფეიქრიშვილი. დიდი რუდუნებით, მონდომებითა და სიყვარულით შედგენილი ეს კრებული მართლაც იძლევა შესაძლებლობას, მიეახლოო წარსულში გარდასული ქალბატონის ცხოვრებას, მის წარუშლელ ნაკვალევს.

ისიც ნიშანდობლივია, რომ წიგნში გამოკვეთილია კიდევ ერთი შესანიშნავი ენათმეცნიერი ქალბატონის, ქეთევან ძოწენიძის დისშვილის — პროფესორ ლეილა კვანტალიანის სახეც. ეს წიგნი, გარკვეულწილად, მის ნათელ ხსოვნასაც მიუძღვნა რედაქტორ-შემდგენელმა.

ამრიგად, მკითხველის წინაშეა ძალიან საინტერესო გამოცემა, რომელმაც არაერთი საყურადღებო ფაქტი და დოკუმენტი მოგვაწოდა და რომელიც, სიმბოლურად, პატარა ძეგლის მსგავსად დაუდგეს ნიჭსა და პროფესიონალიზმს.

ნანული ქვიმარელი



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ქუთაისის მედიის წარმომადგენლებმა სისხლი უანგაროდ გაიღეს

ქუთაისელმა ჟურნალისტებმა იმერეთის რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში სისხლი უანგაროდ ჩააბარეს. ეს გახლდათ საქველმოქმედო აქცია, სისხლი ამავე საავადმყოფოში შემოსულ პაციენტებს საჭიროებისამებრ მოხმარდება.

საავადმყოფოს ადმინისტრაციის თქმით, ღონისძიება, რომელშიც მედიის წარმომადგენლები ჩაერთვნენ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბევრი პაციენტისთვის.

ჯანო გოშაძე (იმერეთის რეგიონული კლინიკის დირექტორი): „დღეს არის კლინიკაში სისხლის გადასხმის დღე. მასმედიის წარმომადგენლებმა იმერეთის რეგიონულ საავადმყოფოში ჩაატარეს აქცია უანგარო დონაციის შესახებ. ეს აქცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჟურნალისტების ეს ჰუმანური ნაბიჯი დასაფასებელია."

„ძალიან მნიშვნელოვანია სისხლის გაღება, რადგან ბევრ ადამიანს სჭირდება ეს სისხლი. მითუმეტეს, როცა უარყოფითი ჯგუფის სისხლი გაქვს. მინდა ყველა ადამიანს მოვუწოდო, რომ მსგავს აქციაში მიიღოს მონაწილეობა. გადავარჩინოთ თითოეული ადამიანის სიცოცხლე ჩვენს მიერ გაღებული სისხლით," — განაცხადა მე-9 არხის იმერეთის კორესპოდენტმა ირაკლი აკობიამ.

აქციაში მონაწილეობდა გაზეთ „P.S."-ის რედაქციაც.

ქეთევან ლეგანიძე

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **მანანა კობახიძე** ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკვითხველმა **ლუიზა ლაკერბაიამ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

ელისო ჩაფიძე

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გოგი ქავთარაძე

ზესტაფონის დიადი აღმშენებლობის დამდგმელი რეჟისორი.

მაია გორგოძე

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3. რუსი მოგზაური... მიკლუხო-მაკლაი. 5. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში. 6. შეიარაღებული კონფლიქტი ქვეყნებს შორის. 8. ... კიხოტი. 9. სურამის ციხეშია, ... აღა. 11. ქვეყანა აზიაში.

შვეულად: 1. აივენჰოს ავტორი უოლტერ ... 2. სატელეფონო ტერმინი. 3. კენიის დედაქალაქი. 4. მოსამართი საათის მთავარი დეტალი. 7. მდინარე საქართველოში, მტკვრის შენაკადი. 10. ჯარი, ლაშქარი.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ბარბალე. 5. კრისი. 6. აბუ. 8. ემუ. 9. შაური. 11. ორინოკო.
შვეულად: 1. ორისა. 2. პაუ. 3. ბარამბო. 4. ემბარგო. 7. სამოა. 10. უიუ.

სუდოკუ

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამეორდეს!

5	8	4						
				4		3	5	1
			7	6	5			
4		5	1		9			
1	2						8	9
			5		3	1		7
			9	5	8			
6	3	9		1				
						9	2	4

ჩვენს საყვარელ თანამშრომელს, კარგ პროფესიონალს, ჟურნალისტ **ნესტან ჩაგელიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს! ჩვენო ნესტან, გისურვებთ ლამაზ სიყვარულს, ბედნიერებას და დიდ პროფესიულ წარმატებებს!

გაზეთ „ჰ.ს."-ის რედაქცია

უმშვენიერეს
ლილე მინდელს!

გილოცავთ დაბადების დღეს! შენი ლამაზი ოცნებების ასრულებას, ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს გისურვებთ, პატარა ქალბატონო!

გაზეთ „ჰ.ს."-ის რედაქცია

ჟიმერიონი

qimerioni.ge

წიგნები
შენ გელოდება!

მისამართი:
ქუთაისი, „პოპული";
ტელ.: (790) 927 927.

მსოფლიო ისტორიის ათი საუკეთესო მეომარი ქალი

ეს მსოფლიო ისტორიაში ათი საუკეთესო მეომარი ქალის ჩამონათვალია. ამ სიაში მოხვდნენ ის ქალები, რომლებიც თვითონ ებმებოდნენ ბრძოლებში და ომებს დისტანციიდან არ ხელმძღვანელობდნენ. საამაყოა, რომ მათ შორის პირველ ადგილზე საქართველოს მეფე, **თამარი** არის დასახელებული.

თამარ მეფე

ჟანა დარკი



ზენობია

იაპოტეპ I

ბუდიკა

10. იუდიტი — ქრისტესშობიდან 960 წელი

იუდიტი არაქრისტიანი დედოფალი იყო, რომელიც 960-იან წლებში მოღვაწეობდა. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ მან ეთიოპიაში ეკლესიებისა და ძეგლების დანგრევა დაიწყო. გარდა ამისა, სასტიკად გაუსწორდა მმართველი დინასტიის წევრებს, დედოფალ შებას შთამომავლებს. იუდიტის საქმიანობის შესახებ ცნობები ისტორიას, ძირითადად, ზეპირი გადმოცემებით შემორჩა. ისტორიკოსების მტკიცებით, დედოფალმა ეთიოპიის იმპერატორი მოკლა და მის ტახტზე 40 წლის განმავლობაში იჯდა. ჩრდილოეთ ეთიოპიელ გლეხებში დღემდეა შემორჩენილი ლეგენდები დედოფლის უსაზღვრო სისასტიკის შესახებ. სხვადასხვა წყაროებით ირკვევა, რომ სწორედ დედოფალმა იუდიტმა დაარბია დებრე დამოს ტაძარი, რომელშიც უდიდესი განძი ინახებოდა.

9. ტრიე ტი ტრინი — ქრისტესშობიდან 225-248 წელი

ტრიე ტი ტრინი ვიეტნამელი მეომარი ქალი იყო, რომელიც III საუკუნეში წარმატებით უწევდა წინააღმდეგობას ვუს სამეფოს საოკუპაციო ჯარებს. ის ჩრდილოეთ ვიეტნამის ტრიე სონის რაიონში, ტან ჰოას პროვინციაში დაიბადა. ამ დროს ამ კუთხეს ჩინეთის ერთ-ერთი სამეფო, დასავლეთ ვუ აკონტროლებდა. ტრიე ტი ტრინი ადრეულ ასაკშივე დაობლდა. მას ძმა და ძმის ცოლი მონასავით ზრდიდნენ. როცა 20 წლის გახდა, ძმის სახლიდან ჯუნგლებში გაიქცა და იქ ქალებისა და კაცებისგან 1000 კაციანი არმია ჩამოაყალიბა. ტრიე ტი ტრინი სათავეში ჩაუდგა ვიეტნამის გამათავისუფლებელ მოძრაობას. მან ისიც კი განაცხადა, რომ ვიეტნამი მისი საკუთრება იყო. 23 წლის ასაკში ამ ქალს უკვე 30 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული ვუს სამხედრო დანაყოფებზე. გადმოცემის მიხედვით, ის ბრძოლაში სპილოზე ამხედრებული მიდიოდა, ოქროს ჯავშანს ატარებდა და ორი ხმლით იბრძოდა.

8. ბუდიკა — ქრისტესშობიდან პირველი საუკუნე

ბუდიკა ნორფოლკელი ხალხის დედოფალი იყო, რომელიც სათავეში ჩაუდგა აჯანყებას რომის იმპერიის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ. იმპერატორის გარდაცვალებამდე ბუდიკას ქმარი ქვეყანას რომაელებთან ერთად მართავდა, თუმცა რომმა სრული კონტროლის დამყარება განიზრახა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ რომაელებმა დედოფალი გაროზგეს, ხოლო ქალიშვილები მის თვალწინ გააუპატიურეს. გათავისუფლების შემდეგ იგი თავისმა ხალხმა და მეზობელმა ტომებმა ლიდერად აირჩიეს. დაიწყო აქტიური თავდასხმები რომაელებზე. გამათავისუფლებელ ბრძოლებში ბუდიკას არმია მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. ბრიტანელებმა მთლიანად გაანადგურეს რომაელთა ქალაქი კამულოდუნუმი, დღევანდელი კოლჩესტერი. ტაციტუსის გადმოცემით, ბრიტანელებს არ სურდათ, ტყვეები აეყვანათ. ისინი თავიანთ გზაზე ყველას უსიტყვოდ ხოცავდნენ. ისტორიკოსების თქმით, რომაელ დიდებულ ქალბატონებს თავებს აყრევინებდნენ, ხოლო მოჭრილ მკერდს პირთან აკერებდნენ. ბუდიკას ძეგლი ამჟამად იმ ქალაქში დგას, რომელიც მან მიწასთან გაასწორა.

7. დები ტრუნგები — ქრისტესშობიდან პირველი საუკუნე

დები ტრუნგები ვიეტნამელი სამხედრო მეთაურები იყვნენ, რომლებიც ჩინელი ოკუპანტების ქვეყნიდან განდევნას სამი წლის განმავლობაში ცდილობდნენ. ისინი ვიეტნამის ეროვნულ გმირებად არიან აღიარებულნი. დები ჩინეთის ათასწლიანი ოკუპაციის პერიოდში დაიბადნენ. თავიანთი სოფლიდან პატარა ჩინური დანაყოფის განდევნის შემდეგ მათ არმია შეკრიბეს, რომელიც, ძირითადად, ქალებისგან შედგებოდა. რამდენიმე თვეში ბევრი ვიეტნამური რაიონი გაათავისუფლეს ჩინელებისგან. სრული თავისუფლების მოპოვების შემდეგ ისინი ვიეტნამის დედოფლები გახდნენ და კიდევ ორი წლის განმავლობაში იგერიებდნენ ჩინეთის იერიშებს. დები ტრუნგებისა და მათი ჯარის გასანადგურებლად ჩინელებმა დიდი არმია შეკრიბეს. ლეგენდის მიხედვით, ჩინური არმია ბრძოლის ველზე სრულიად შიშველი გავიდა, რათა ვიეტნამელ ქალ მებრძოლებს შერცხვენოდათ. მიუხედავად დების წარმოუდგენელი თავგანწირვისა, ჩინეთმა პირწმინდად გაანადგურა მათი არმია. ღირსების დასაცავად და დაცინვის თავიდან ასაცილებლად დებმა ტრუნგებმა თავი მდინარე ჰატში დაიხრჩვეს.

6. არტემისია I კარიელი — ქრისტესშობამდე V საუკუნე

არტემისია I კარიელი იონიის მმართველი და სპარსელების მოკავშირე იყო. ის სალამინის ბრძოლაში მონაწილეობით არის ცნობილი. მხოლოდ არტემისია არწმუნებდა სპარსეთის მეფე ქსერქსეს, არ გაემართა ბერძნებთან საზღვაო ბრძოლა. მიუხედავად ძლიერი არგუმენტებისა, მეფემ არ დაუჯერა მის რჩევას. არტემისიამ მაინც მიიღო მონაწილეობა ქრისტესშობამდე 480 წელს გამართულ ბრძოლაში. იონიის მმართველი ამ ბრძოლაში 5 საბრძოლო გემს მეთაურობდა. ბრძოლის ერთ მომენტში ბერძნები ახლოს იყვნენ არტემისიას გემის შეპყრობასთან, თუმცა მან მოახერხა, ხელიდან დასხლტომოდა მტერს. არტემისიამ თავისი გემით სპარსელების გემს შეუტია და ბერძნებს აფიქრებინა, რომ მათ მხარეზე იბრძოდა. როცა მან სპარსული გემი ჩაძირა, ბერძნებმა ხელი აიღეს ამ ქალის შეპყრობის გეგმაზე. სპარსეთის მეფე ქსერქსე სიტუაციას ახლომდებარე ბორცვიდან აკვირდებოდა და არტემისიას სიმამაცით აღფრთოვანდა. „ჩემი მამაკაცები დიაცებად გადაიქცნენ, ხოლო ჩემი დიაცები — კაცებად!" — განაცხადა მან. არტემისია დაჟინებით არწმუნებდა ქსერქსეს, მცირე აზიისკენ დაეხიათ. სპარსელებმა ამ ბრძოლაში გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს.

5. ფუ ჰაო — ქრისტესშობამდე 1200 წელი

ფუ ჰაო შანგის დინასტიის წარმომადგენლის, მეფე ვუ დინგის მეუღლე იყო. ამავე დროს — უმაღლესი სასულიერო პირი და სამხედრო გენერალიც. ხელუხლებელი განძით სავსე მისი სამარხი ინქსუს პროვინციაში აღმოაჩინეს. თანამედროვე მეცნიერებისთვის ფუ ჰაოს მოღვაწეობის შესახებ ცნობების მოპოვება შანგის დინასტიის არტეფაქტების აღმოჩენის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ძველი წარწერების მიხედვით, დიდებულ ქალბატონს არაერთი სამხედრო კამპანია ჩაუტარებია. შანგის დინასტიას მრავალი წლის მანძილზე ტუს დინასტია მტრობდა. ეს დაპირისპირება მაშინ დასრულდა, როცა ფუ ჰაომ მოწინააღმდეგე ერთადერთ ბრძოლაში პირწმინდად გაანადგურა. 13 ათასიანი არმიით ფუ ჰაო თავისი დროის ყველაზე ძლიერი სამხედრო ლიდერი იყო ჩინეთში.

4. იაჰოტეპ I — ქრისტესშობამდე XVI საუკუნე

იაჰოტეპ I უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო ეგვიპტის სამეფოში. სწორედ მის დამსახურებად ითვლება მე-18 დინასტიის ჩამოყალიბება. მამის გარდაცვალების შემდეგ მას დიდი ხნის განმავლობაში ეპყრა ხელთ განუსაზღვრელი ძალაუფლება. ჰიკსოსების ოკუპაციის დასრულების შემდეგ მისმა ორმა ვაჟმა ეგვიპტე გააერთიანა. ჰიკსოსების ეგვიპტიდან განდევნაში კი თავად იაჰოტეპ I-მა დიდი წვლილი შეიტანა. 90 წლის ასაკში გარდაცვლილი ქალბატონი თებეში დაკრძალეს.

ცხოვრების მანძილზე იაჰოტეპ I-მა უამრავი რიტუალი დააწესა და მთელი ენერგიით მართავდა ეგვიპტეს. ის დიდი ყურადღებით ექცეოდა თავის ჯარისკაცებს და იცავდა მათ. იაჰოტეპ I-მა უამრავი გადახვწილი ეგვიპტელი დაიბრუნა სამშობლოში და ზემო ეგვიპტე აჯანყებულებისგან გაათავისუფლა.

მას იცნობდნენ, როგორც მებრძოლ დედოფალს.

3. ჟანა დ'არკი — ქრისტესშობიდან XV საუკუნე

ჟანა დ'არკი 100-წლიანი ომის დროს გამოვიდა ასპარეზზე. ახალგაზრდა ქალი საფრანგეთის პრინცს არწმუნებდა, რომ ღმერთისგან ხილვა ჰქონდა და სწორედ ახლა იყო დრო ინგლისისგან საფრანგეთის გათავისუფლებისა. ჯერ კიდევ უგვირგვინო მეფე შარლ VII-მ ჟანა ალყაშემორტყმული ორლეანის დასახმარებლად გაუშვა. მან უდიდესი აღიარება მოიპოვა, როცა ორლეანი მხოლოდ 9 დღეში გაათავისუფლა. კიდევ რამდენიმე გამარჯვების შემდეგ ის შარლ VII-ის კორონაციას ხელმძღვანელობდა რეიმსში.

ჟანა დ'არკი ერთადერთია, ვინც მთელი ქვეყნის არმიას 17 წლის ასაკში მეთაურობდა. მიუხედავად თავსა და კისერში მიღებული უამრავი ჭრილობისა, ის აგრძელებდა ბრძოლას ქვეყნის საბოლოო გათავისუფლებისთვის. შეპყრობის შემდეგ ინგლისელებმა ჟანა დ'არკი ფიქტიურ სასამართლოზე მწვალებლობაში დაადანაშაულეს და კოცონზე დაწვეს. წლების შემდეგ პაპმა განაჩენი არასწორად მიიჩნია და კათოლიკურმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა.

2. ზენობია — ქრისტესშობიდან III საუკუნე

სეპტიმა ზენობია სირიას ქრისტესშობამდე, 250-დან 275 წლამდე მართავდა. მისი მეთაურობით სირიულმა არმიამ კლაუდიუსის ლეგიონები ისე დაამარცხა, რომ რომის იმპერია იძულებული გახდა, მცირე აზიიდან დაეხია. არაბეთი, სომხეთი და სპარსეთი მის მოკავშირეებად ითვლებოდნენ. ზენობიამ, მემკვიდრეობითობის უფლებით, თავი ეგვიპტის დედოფლადაც გამოაცხადა, კლაუდიუსის მემკვიდრემ, აურელიანმა ყველაზე გამოცდილი ლეგიონები გაგზავნა ზენობიას გასანადგურებლად, თუმცა საბოლოო გამარჯვებისთვის რომაელებს 4 წელი დასჭირდათ. დედაქალაქ პალმირას აღების შემდეგ ზენობია ტყვედ ჩავარდა და მოკავშირე პროვინციების ცხრა დედოფალთან ერთად ის რომის ქუჩებში, აღლუმზე ჩამოატარეს. აურელიანმა ზენობია ტიბურში გადაასახლა, ხოლო მისი ქალიშვილები გავლენიან რომაელებს მიათხოვა.

1. თამარ მეფე — ქრისტესშობიდან XIII საუკუნე

თამარი საქართველოს მეფის, გიორგი III-ს ქალიშვილი იყო. მამამისმა ის თანამოსაყდრედ გამოაცხადა. მამის გარდაცვალების შემდეგ, თამარმა უბადლო მმართველის რეპუტაცია მოიპოვა. მას „მეფეთა მეფე" და „დედოფალთა დედოფალი" უწოდეს. მისი მეფობის პერიოდში ყველა მეზობელი მუსლიმური სახელმწიფო საქართველოს ემორჩილებოდა. თამარი აქტიურად იყო ჩართული არმიის სამხედრო მმართველობაში. ამ დროს სამეფომ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მწვერვალს მიაღწია. 1201-1203 წლებში ქართველებმა აიღეს სომხეთის დედაქალაქები ანისი და დვინი. 1204 წელს თამარის არმიამ ყარსის ოკუპაცია მოახდინა. თამარის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ტრაპიზონის იმპერია. თამარ მეფე 1213 წელს გარდაიცვალა.

listverse.com